

## სამედიცინო სფეროში მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

2009 წელს საერთაშორისო ფონდი „სტენტ“-ის ინიაციტივით პროფესორ გივი წიწუაშვილის ხელმძღვანელობით გამოიცა პირველი წიგნი „ებრაელი ექიმები საქართველოდან“. წიგნი ეძღვნებოდა ქართველ ებრაელთა იმ თაობას, რომელმაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო და საექიმო პრაქტიკა განაგრძო საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ამ ნაშრომის ბოლოთქმეში გამოკვეთილია სურვილი, „რომ საუბარი გამოჩენილ ქართველ-ებრაელ მედიკოსთა პროფესიონალურ საქმიანობაზე კვლავაც უნდა გაგრძელდეს“. ამ კვლევის გაგრძელება, გაღრმავება და წარმოჩენა რამოდენიმე მიზანს ემსახურება. 1) საქართველოდან გამოსული სამედიცინო ინტელიგენცია დიდი წარმატებით მოღვაწეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ბევრი მათგანი ხელმძღვანელობს დიდ სამედიცინო ცენტრს, კათედრას, ლაბორატორიას, მნიშვნელოვან კლინიკურ განყოფილებას. 2) წლების განმავლობაში ვმოღვაწეობ რა სამედიცინო ფაკულტეტზე, მრავალ მათგანთან საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს და ამაყად მსურს დავძინო, რომ ძვირფას პროფესიონალთა ავტორიტეტი დაიმკვიდრეს. 3) ჯერ კიდევ 1925 წელს ნათან ელაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს სამყაროში არ არსებობს ისეთი ებრაული კონგრეგაცია, ებრაელი ერის ისეთი მიტოვებული, მივიწყებული ნაწილი, რომელზეც ასე ცოტას ლაპარაკობდნენ, ასე ცოტა იცოდნენ მისი არსებობის შესახებ. ასეთები კი საქართველოში მცხოვრები ებრაელები არიან“. თითქმის ასი წლის წინ გამოთქმული ტკივილის შემსუბუქება ნაწილობრივ შესაძლებელია ამ კვლევით შევავსოთ: მოუთხროთ ებრაელთა განსაკუთრებული ლტოლვისა სამედიცინო მეცნიერების შესწავლისა და დაუფლებისადმი, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტზე. წინასწარ მსურს ბოდიში მოვიხადო იმ პროფესიონალ-ექიმ-კლინიკისტებთან, რომელნიც პაციენტთა ჯანმრთელობის სადარაჯოზედ დგანან ნაყოფიერი და დაუფასებელი წვლილით, ამჟამად ვერ იხილავენ თავიანთ დამსახურებულ პერსონას წინადადებულ კორესპონდენციაში. ეს მასალა ეძღვნება, უმთავრესად, ექიმებს, რომელთაც სამედიცინო სფეროში აქვთ სამეცნიერო გამოკვლევები. ჩვენ თემს საამაყო დასტაქართა ჯარი ჰყავს, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აგრძელებენ თავის წარმატებულ კარიერულ ზრდას. თვითეული პროფესიონალი ცალკე თხრობას იმსახურებს, მხოლოდ ჩემი ექსკურსის მიზანია მათი მაშტაბური სახით წარმოდგენა. შესაძლებელია, რომ ჩვენი რესპონდენტები მედიცინის სხვადასხვა სფეროში მსახურობენ და ვრცელი ინფორმაცია ერთმანეთზე არ გააჩნიათ. გამოქვეყნებული მასალის მოცულობა არ არის მაჩვენებელი სპეციალისტთა აბსოლუტური დამსახურების, აღიარების ანუ მედიცინის დარგში შეტანილი წვლილის. მიზნად დავისახე, რაც შეიძლება სხვადასხვა სფეროს ექიმებზე მომეწოდებინა მასალა. ჩემს მიერ მოძიებული სოციალურ ქსელში და რესპონდენტთა მოწოდებული მონაცემების არაპროპორციული აღწერა მხოლოდ ინფორმაციის უკმარისობაზე მიუთითებს, რისი დამატება, კორექცია და მომავალში გაღრმავება სასურველი და შესაძლებელია. სპეციალისტებზე თხრობა ქრონოლოგიურ თარიღების გათვალისწინებით არის მოყვანილი. დამატებით, ექიმების გვარები მითითებულია ინგლისურ ენაზე, რაც გაამარტივებს მათ მოძიებას სოციალურ ქსელში.

**იოსებ ქურჩიშვილი Joseph Kurchishvili (1916–1985)** - პროფესორი, სამედიცინო მეცნიერების მოამაგე, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე, ქართული მედიცინის ისტორიული წარსულის მკვლევარი. გამოქვეყნებული აქვს 200 სტატია, 12 წიგნი და მონოგრაფია. ის ბრძანდებოდა მკურნალი ექიმიც და ჯანდაცვის ორგანიზატორი, მკვლევარი და პედაგოგი, კათედრის გამგე და ნოვატორულ მიმართულებათა პროპაგანდისტი.

დახელოვნების ინსტიტუტს ჰქონდა მინიჯებული საკავშირო სტატუსი. მრავალი წლის დამაბული მუშაობის შედეგად, მან თავი მოუყარა მედიკოსთა მიერ საავტორო უფლებებით დამოწმებულ გამოგონებებს, ნოვატორულ წინადადებებს, ავადმყოფთა კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის მიზნით შექმნილ რაციონალური ფორმებისა და მეთოდების ამსახველ მეცნიერული და პრაქტიკული შინაარსის მასალებს. გამოჩენილ დასტაქარს ფილოლოგიური განათლებაც ჰქონდა მიღებული, მოღვაწეობდა ქართველ ებრაელთა ისტორიის მუზეუმში. ჩინებული მცოდნე ებრაული ენისა თარგმნიდა შალომ ალექემის ნაწარმოებებს ქართულზე.

**დავით კაკიაშვილი David Kakiashvili (1917-2000)** - ჩაირიცხა სარატოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე (1938 წ.). სწავლა განაგრძო თბილისში და 1942 წ., დამთავრებისამებრ გაწვეულ იქნა ჯარში. დემობილიზაციის შემდეგ, დაფუძნდა სოხუმში და ექსპერიმენტალურ კიბოს ლაბორატორიაში იკვლევდა „ნიკოტინით“ გამოწვეულ ზიანს კიბოს დაავადების მსვლელობაში. 1951 წ. კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ორდინატორად მსახურობს. 1959 წ. გაირა სტაჟირება კარდიოლოგიაში ლენინგრადში, სამეცნიერო კვლევას აგრძელებს და 1969 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „აფხაზეთის მოსახლეობის ხანდაზმულ ადამიანებთან გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის მდგომარეობის შესახებ“. შესწავლილი იყო 80-116 წლამდე ასაკის მოსახლეობა იმ პერიოდისათვის ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიით, რენტგენოფუნქციონალური გამოკვლევით. მის კალამს 60-ზე მეტი პუბლიკაცია ეკუთვნის, მათ შორის ფუნდამენტალური მონოგრაფია „აფხაზეთის ასწლეულებისა და ხანდაზმული მოსახლეობის სასუნთქი და სისხლის მიმოქცევის სისტემების მდგომარეობა“. დავით კაკიაშვილს 1972 წ. პროფესორის წოდება მიენიჭა. გარდა ფართო კლინიკური პრაქტიკისა, უძღვებოდა სალექციო კურს ფიზიოლოგიის კათედრაზე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ხშირად მონაწილეობდა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, ინტერეს იწვევდა მისი იშვიათი და განუმეორებელი კვლევა. იმ უმძიმეს პერიოდში სამამულო ომის მონაწილისა და ორდენოსანი ინვალიდის მიღწევები, ძვირფასი მაგალითია მიზანსწრაფული, განათლებული დასტაქარის მიერ განვლილი გზის.

**ისაკ მეგრელიშვილი Isaac Megrelishvili (1920-2013)** - სწავლა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში დაიწყო, შემდგომ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გადმოდის. 1944 წელს ამთავრებს სამკურნალო ფაკულტეტს. ნევროლოგიურ კლინიკაში ორდინატურის გავლის შემდეგ 1971 წლამდე, მოღვაწეობდა თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ავლეპი ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით. კლინიკაში მუშაობას უთავსებს სამეცნიერო საქმიანობას. ვინაიდან მას „სამი საფიცარი გააჩნია: ოჯახი, მედიცინა, პოეზია“, არცერთს არ თმობს. მის კალამს ეკუთვნის: „სამშობლოდან სამშობლოში“, „ღვთიური ცეცხლი“, „დაბრუნებული ბედნიერება“, „რჩეული პოემები და ლექსები“. 1971 წელს ამოდის ისრაელში და მრავალი შეფერხების შემდეგ და ეტაპობრივი ზრდის შედეგად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განაგრძო სამედიცინო პრაქტიკა. ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „შიზოფრენიის მკურნალობის მეთოდები“. ბატონ ისაკის ვაჟი, მედიცინის დოქტორი, რუდოლფ მეგრე წარმატებით მოღვაწეობს ბერლინში, ერთერთი მაგალითია სხვადასხვა პროფესიისადმი დაუფლებადი მემკვიდრეობითი მიდრეკილებისა. წარმოდგენილ მასალაში მსგავსი მაგალითი მრავალჯერ დაადასტურებს ამ ფაქტს.

**ზაქარ თოფჩიაშვილი Zakhari Topchiashvili (1925-2012)** - პროფესორი, როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში აგრძელებს სპეციალიზაციას ზოგადი ქირურგიის განხრით. ამავე კლინიკის ორდინატორი ჯერ

საკანდიდატო და შემდგომ (1965 წ.) სადოქტორო დისერტაციას იცავს. კვლევის თემა „ნაღვლის სადინარის პირველადი და განმეორებითი ოპერაციები“. მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია არის გამოქვეყნებული თორმეტგოჯა ნაწლავის ტრამეული დაზიანების ქირურგიულ მკურნალობაზე. გამოცდილი დასტაქარი უნიკალურ ოპერაციებს ატარებდა. 1984 წელს მიწვეული იქნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ზოგადი ქირურგიის კათედრაზე. უთავსებდა სამეცნიერო, პედაგოგიურ და კლინიკურ მოღვაწეობას. 1994 წელს მოსკოვში ბრუნდება. 2012 წელს პროფესორ ზაქარ თოფჩიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა სამეცნიერო სიმპოზიუმი. მეუღლე - კარდიოლოგი, გიული თოფჩიაშვილი ჰოსპიტალური თერაპიის დეპარტამენტში მოღვაწეობდა, პირველი მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში.

**მიხაილ ხანანაშვილი Michael Khananashvili (1928-2018)** საკავშირო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი (1984), რუსეთის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი (1991), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2013), პროფესორი მიხაილ ხანანაშვილი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია (1951). ასპირანტურა ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში დაამთავრა და ფიზიოლოგიის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. უმაღლესი ნერვული მოქმედების სპეციალისტი, 1980 წ. – ივანე ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად ინიშნება. არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. უმძიმესი მოვალეობა აიღო თავზე: აღასრულა თავისი მასწავლებლის, ივანე ბერიტაშვილის ოცნება - შეძლო ინსტიტუტისათვის ახალი, თანამედროვე შენობის აგება. მიხაილ ხანანაშვილმა შემოიტანა ცნება საინფორმაციო ნევროზები, ჩამოაყალიბა უმაღლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგიის სამეცნიერო სკოლა. ავტორია 16 მონოგრაფიის და 300 სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი მსოფლიო აკადემიის მეცნიერული საზოგადოების წევრია. არაერთჯერ იქნა დაჯილდოებული, მათ შორის (1991) პავლოვის სახ. ოქროს მედლით – „ფიზიოლოგიის განვითარების თვალსაჩინო გამოგონებისათვის“. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 34 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. მან შექმნა ფართოდ აღიარებული მეცნიერული სკოლა ფსიქო-ფიზიოლოგიის დარგში. საერთაშორისო ჟურნალი „მეხსიერება“ დაარსა და მისი მთავარი რედაქტორი გახლდათ.

**დან მიხაელი Dan Michaeli (მიხელაშვილი) – (1933-2006)** დაიბადა ისრაელში, აქ მიიღო სამედიცინო განათლება (1958 წ.). თელ-ავომერის საავადმყოფოში თერაპიის დარგში დახელოვნების შემდეგ, ისრაელის არმიის სამედიცინო სამსახურში განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას. პროფესორი მიხაელი, სახელმძღვანელო სამხედრო ექიმი, ინიშნება ისრაელის არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსად. დემობილიზაციის შემდეგ არჩეულ იქნა იხილოვის საავადმყოფოს გენერალურ დირექტორად. 1984 წელს დაინიშნა ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უწყების გენერალურ დირექტორად. მისი მეცნიერული კვლევა შინაგან სნეულებათა და ინფექციურ დაავადებათა დარგში საყოველთაოდ აღიარებულია. აღსანიშნავია და დასაფასებელია პროფესორ დან მიხაელის დამოკიდებულება, თანადგომა და დახმარება საქართველოდან ამოსული ექიმებისადმი. 1992 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა „კლალიტის“ ჯანმრთელობის სერვისის საბჭოს თავმჯდომარედ. ხელმძღვანელ თანამდებობებთან პარალელურად, იგი ასწავლიდა თელ ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. გამოქვეყნებულია ათეული სამეცნიერო პუბლიკაცია მისი ავტორობით. იგი იყო მშვიდობისა და უსაფრთხოების საბჭოს, პერესის მშვიდობის ცენტრის საბჭოს წევრი, ჯანმრთელობის საბჭოს წევრი. 2003 წელს მან მიიღო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის სამაგალითო ჯილდო „ცხოვრების მანძილზე შეტანილი

წვლილისათვის“. ავტობიოგრაფიული წიგნი გამოქვეყნდა სახელწოდებით „მშობლიური იერუსალიმიდან“.

**შალვა მარდი Shalva Mardi (მარდახიაშვილი)** - (1933-2019) პროფესორი, ისრაელის და შვეიცარიის მოქალაქე. დაამთავრა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი. 1962 წ. დაიცვა ლენინგრადში საკანდიდატო, 1967 წ. კიევში - სადოქტორო დისერტაცია. მისი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართულია კანისა და ლორწოვანი გარსის კეთილთვისებიან და ავთვისებიან წარმონაქმნთა მკურნალობაში უახლესი ფარმაცევტული პრეპარატების გამოყენებით. დერმატო-ონკოლოგიის დარგში მიღწეული წარმატებული მკურნალობისათვის, საფრანგეთში ჩატარებულ XX მსოფლიო კონგრესზე პროფესორი შალვა მარდი მიჩნეულ იქნა საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტად დერმატოლოგიაში. მან წარმოადგინა პრეპარატი - მარდების ოჯახური ნაყოფი „MMMM“, რომელიც გარანტირებულად კურნავს კანისა და ლორწოვანის სიმსივნეებს, არატოქსიკურია და არ საჭიროებს ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციას. პროფესორი შალვა მარდი ევროპის და ამერიკის დერმატოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის, კანის ქირურგიის საერთაშორისო გაერთიანების, კანის დაავადებების კვლევის ევროპული გაერთიანების, კოსმეტიკური დერმატოლოგიის საერთაშორისო გაერთიანების, დერმატოლოგთა საერთაშორისო გაერთიანების მმართველობის, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის სამხედრო აკადემიის პროფესორი და საპატიო დოქტორი, იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო გაერთიანების საპატიო პროფესორი, კანის კიბოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ ბრძოლის საერთაშორისო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი (WHO-ს ფარგლებში), რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

საქართველოს ერთ-ერთი პიკი მის სახელს ატარებს. ქ.ქუთაისში არის მისი სახლ-მუზეუმი. შ.მარდი - ბრწყინვალე მხატვარი და თვითნასწავლი მოქანდაკეა, წერს მუსიკას. 1975 წელს შ.მარდი გახდა ქ.იერუსალიმის საპატიო მოქალაქე. მარდის ოჯახი: ქ-ნი როზმარი - ყველა მისი მიღწევების თანაავტორი - და ორი შვილი, სამივე - მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ.

**გივი წიწუაშვილი Givi Tsitsuashvili** (1937-2016) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული. ახალგაზრდა ექიმი, პრაქტიკული მუშაობის მიუხედავად, მუდმივ ძიებაში იყო - არ ცხრებოდა მისი ინტერესი სამედიცინო სფეროში კვლევისადმი. 1965 წელს ჩაირიცხა საკავშირო სამედიცინო აკადემიის ქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გასტრო-დუოდენური სისხლდენების მკურნალობა კუჭის ლოკალური ჰიპოთერმიით“. განაგრძო მუშაობა მოსკოვში ბაკულევის სახ. გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში.

სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თავის ტვინის სისხლძარღვების არასპეციფიკური აორტოარტერიტის ქირურგიული მკურნალობა“. პროფესორი გივი წიწუაშვილი ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლძარღვთა ქირურგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მიწვეული პროფესორის სტატუსით მუშაობდა თელ-ავივის იხილოვის საავადმყოფოში, სადაც რამოდენიმე მეთოდიკა დანერგა. მრავალი პიონერული სასიცოცხლო ოპერაცია ჩაუტარებია, რომელიც იმ პირობებში და იმ პერიოდისათვის (1998) სენსაციურად ითვლებოდა. მრავალ ქვეყანაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესზე გახლდათ მოწვეული. აშშ-ი მონტეფიორის ცენტრში დაჰყო 4 თვე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქირურგიის ეროვნულ ცენტრში დაარსა ფონდი „სინაი“, სადაც მრავალ პაციენტს მიეცა საშუალება ძვირადღირებული, რთული ოპერაცია, უფასოდ გაეკეთებინა. ბატონ გივის თაოსნობით 2006 წელს ჩატარდა ისრაელ-საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც შემდგომში ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. პროფესორი წიწუაშვილი გამოირჩეოდა

გულმოდგინე დამოკიდებულებით ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. არც სათემო პრობლემებს აუარა გვერდი: წლების მანძილზე შეთავსებით ხელმძღვანელობდა ებრაულ სათემო სახლს თბილისში: დირექტორი გახლდათ, ბევრი სასიკეთო საქმე აკეთა. **ჯემალ ბინიაშვილი Jemal Biniashvili** (1941-2007) - პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. 2006 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ დასახელებულია ონკოლოგიაში წამყვან მეცნიერად. მან გამოაქვეყნა 200 სამეცნიერო ნაშრომზე მეტი წამყვან აკადემიურ ჟურნალში ონკოლოგიის დარგში. ბრძანდება 4 საავტორო უფლების მფლობელი სიმსივნეთა მკურნალობის დარგში. აშშ გამოქვეყნებულია მისი წიგნი „Experimental tumors in monkeys“. მისი კვლევის და სადისერტაციო შრომის საგანი გახლდათ „პერიფერიული ნერვული სისტემის სიმსივნეთა მორფოლოგიური და ჰისტოქიმიური თავისებურებანი“. ფართო არეალის გამოკვლევები აქვს ჩატარებული ექსპერიმენტულ ონკოლოგიაში, კერძოდ მაიმუნებში ნერვული სისტემის ავთვისებიან სიმსივნეთა ინდუქცია. ამ ექსპერიმენტალური მოდელირების არსენალს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს კანცეროგენების მექანიზმების შესწავლაში. ბოლო პერიოდი მიუძღვნა საყოფაცხოვრებო ელექტრომაგნიტური ველების გავლენის კვლევას სარძევე ჯირკვლის კიბოს გამოწვევაში. ბატონ ჯემალის ვაჟი - შალვა ბენჯამინ - ისრაელში წარმატებული პროფესიონალია უროლოგიის დარგში.

**ცირა ბოთერაშვილი Tsira Boterashvili** - აჭარის დამსახურებული ექიმი, 1961 წელს ამთავრებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს. ის მშობლების კვალს გაჰყვა. დედა-დინა დავარაშვილი, აჭარის დამსახურებული ექიმი, მამა - ბენიამინ ბოთერაშვილი, აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი (1937 წელი). ქალბატონი ცირა გახლავთ მე-20 საუკუნის ქართველ ებრაელ მედიკოსთა შუალედური თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მათი ოჯახი კი საექიმო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე და გამაგრძელებელი. ცირა ბოთერაშვილმა მრავალჯერ მიიღო შემოთავაზება ემუშავა სამეცნიერო თემაზე, მაგრამ მან არჩია კლინიკაში კვალიფიკაციის ამაღლება. სპეციალობაში დაოსტატების პერმანენტულმა პროცესმა სასურველი შედეგი გამოიღო: ბათუმის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილებიდან ექიმს (1967 წ.) ბათუმის საზღვაო საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების უფროს ორდინატორად ნიშნავენ. თითქმის 30 წელი იმსახურა მეზღვაურთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. მოგეხსენებათ იმ რთული პერიოდის კლინიკის აღჭურვილობა. ქალბატონი ცირა იხსენებს: „იყო დრო, როდესაც რეანიმაციული განყოფილების უქონლობის გამო, თერაპიულ განყოფილებაში ჩამიტარებია რეანიმირება ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი რისკის ხარჯზე“. ტრადიცია წარმატებით გრძელდება: მისი ორი შვილი დავით სარიდი და ლანა ბარი სასახელოდ აგრძელებენ საექიმო მემკვიდრეობას.

**რამონა გენერალოვა Ramona Generalova (გაგულაშვილი)** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 1975 წელს მოსკოვში დაიცვა PhD საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „ლიმფოგრანულომატოზის მკურნალობის ასპექტები“. მსახურობდა კრემლის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში და 30 წელი ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ექიმ-რეანიმატოლოგად. გამოქვეყნებული აქვს 60 სამეცნიერო შრომა.

**გურამ ფიჩხაძე Guram Picchadze** - ყაზახეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების, ტექნოლოგიების და განათლების სფეროში. დოქტორი, პროფესორი, ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის გამგე ყაზახეთის ეროვნულ სამედიცინო უნივერსიტეტში. 1968 წელს

დაამთავრა ალმა-ატის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 630 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მონოგრაფია და სტატიები მაღალი ინდექსის ფაქტორით). ბრძანდება მფლობელი 100 ინოვაციური პატენტისა (უცხოური), ავტორი 100-ზე მეტი ნორმატიული და მეთოდოლოგიური მასალებისა. მისი ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციების თეზისები - 60: MD და PhD. ჩამოაყალიბა ყაზახეთში სკოლა პრაქტიკოსი ექიმებისათვის რეპროდუქციულ მედიცინის სფეროში. 1968-69 წ. პედიატრი აქტუბინსკის ბავშვთა საავადმყოფოში; 1969-73 წწ. - ასისტენტი აქტუბინსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში; 1973-89 წწ. ასისტენტ - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი, ყარაგანდის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე. 2004-05 წწ. - გენერალური დირექტორი „ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო პრეპარატების“ სამეცნიერო ცენტრში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო ფარმაკოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე. ვირტუალური ინსტიტუტის «Neurosciences» დირექტორი. 1989 წლიდან - კათედრის გამგე - "საპათიო პროფესორი" ყაზახეთის ეროვნულ სამედიცინო უნივერსიტეტში. არჩეულ იქნა „წლის ადამიანად 2014" ნომინაციაში "პროფესიული მიღწევებისათვის". უზრუნველყოფდა ხელმძღვანელობას და მონაწილეობდა კვლევითი გრანტების განხორციელებაში.

**არონ ხანუკოგლუ Aaron Hanukoglu (ენუქაშვილი)** - თურქეთში, ისტამბულის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებს წარჩინებით (1961-67წ.). რეზიდენტურა ანკარის პედიატრიის განხრით ბავშვთა ჰოსპიტალში დაასრულა. 1970 წლიდან ისრაელში ამოდის და ეუფლება პედიატრიულ ენდოკრინოლოგიას თელ-აშომერის და ბელინსონის კლინიკებში. 1979 წ. საკვალიფიკაციო ნაშრომი: „ზედმეტი წონის გავლენა გლუკოზის და ინსულინის დონეზე სისხლში OGTT ტესტზე ბავშვებსა და ზრდასრულ ორგანიზმში“. 1986-88 წ. აშშ, ბალტიმორში გაიარა პოსტდოქტორანტის სტაჟირება. ბრუნდება ისრაელში, ინიშნება ვოლფსონის სახ. სამედიცინო ცენტრის პედიატრიული ენდოკრინოლოგიის განყოფილების გამგედ. 2003 წლიდან თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პედიატრიული განყოფილების ასოცირებული პროფესორია. ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში ეროვნული კომიტეტის გამომცდების საბჭოს ხელმძღვანელი გახლდათ ისრაელში. 2018 წელს მიენიჭა ისრაელის ასოციაცია „ბავშვთა ენდოკრინოლოგია“ პრიზი - გაერთიანების წარჩინებული წევრი. მოპოვებული აქვს მრავალი გრანტი. კვლევის შედეგები სამედიცინო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება.

**რამაზი დათიაშვილი Ramazi Datiashvili** - New Jersey (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი. დაამთავრა მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტი 1972 წელს. დასრულების შემდეგ ზოგადი ქირურგიის ეროვნულ სამეცნიერო ცენტრში მოღვაწეობს და 1979 წელს დაიცვა PhD დისერტაცია: „ფეხის ქვედა არტერიების რეკონსტრუქციული მიკროქირურგიული ოპერაციების გართულებანი“. დანიშნული იქნა მოსკოვის N51 ქალაქის საავადმყოფოში მიკროქირურგიის დეპარტამენტის უფროსად. მან განაგრძო აკადემიური და ქირურგიული კვლევა ეროვნულ ქირურგიულ ცენტრში მოსკოვში. 1989 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, თემა: „კიდურებში მთავარი სეგმენტების რეპლანტაცია“. 1991 წლიდან დათიაშვილი საცხოვრებლად აშშ-ში გადადის. აქ მან დაასრულა ზოგადი ქირურგია რეზიდენტურის დროს Mount Sinai ჰოსპიტალში (New York) და შემდეგ პლასტიკური ქირურგიის რეზიდენტურა University of Medicine and Dentistry. პროფესორი აგრძელებს წარმატებულ კარიერას როგორც პლასტიკური ქირურგი, რატგერსის უნივერსიტეტში ქირურგიულ დეპარტამენტში. დოქტორი დათიაშვილი ლიცენზირებული პლასტიკური ქირურგია აღიარებული ამერიკული საბჭოს

მიერ. ის არის აქტიური წევრი ამერიკული საზოგადოების American Society of Plastic Surgeons, American Association of Plastic Surgeons, American Society of Reconstructive Microsurgery. მიწვეული პროფესორია National Centre of Surgery Russian Academy of Medicine, Division of Plastic Surgery, Department of Surgery, Mount Sinai Medical Center, New York, New York. მრავალი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრია: American Society of Plastic Surgeons (ASPS), Advances in Plastic & Reconstructive Surgery, International Journal of Medicine and Medical Research. 1983 წელს, ლიტველ გოგონას, რასას, რომელსაც მოკვეთილი ჰქონდა ორივე ტერფი რამაზ დათიაშვილმა, მოსკოვში ფილატოვის ბავშვთა საავადმყოფოში ჩაუტარა რეპლანტაციის ოპერაცია, პირველად საბჭოთა კავშირის მედიცინის ისტორიაში. 2005 წელი - ოპერაცია 12 წლის Connor Episkopi ჩაუტარდა. ექიმთა ჯგუფი, რომელსაც დათიაშვილი ხელმძღვანელობდა: აღდგენილ იქნა 18 მყესის, 4 დიდი სისხლძარღვის, სამი ნერვის და ორი ძვლის მთლიანობა. მაშინვე ოპერაციის დასრულებისამებრ, ბიჭუნამ თითები აამოძრავა. პროფესორი დათიაშვილი ავტორია 100-ზე მეტი პუბლიკაციისა, მათ შორის სახელმძღვანელოები და სტატიები მსოფლიოს წამყვან ჟურნალებში. მან მიიღო უამრავი ჯილდო და 6 პატენტის მფლობელია მუშაობის პერიოდში.

**ზურაბ არდენ Zurab Arden (აჯიაშვილი)** - უმაღლესი კატეგორიის ნევროლოგი, 1972 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს. სტაჟირებას ქ. მოსკოვში გადიოდა ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის ცენტრში და ბოტკინის სახ. საავადმყოფოში, რეფლექსოლოგიის ინსტიტუტში. 1976 წლიდან თბილისის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა. აქვს გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო კვლევის შედეგები ტკივილის თავიდან აცილებისა და რეფლექსოთერაპიაში. აღსანიშნავია შრომები მიძღვნილი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის შემთხვევაში ავადმყოფთა შემდგომი რეაბილიტაციის აკუპუნქტურის მეშვეობით. ისრაელში ამოსვლიდან მსახურობს იხილოვის საავადმყოფოში. ყურადსაღებია მისი კვლევა „ასპირინის სხვადასხვა დოზის გავლენა მეორადი stroke პრევენციისათვის: ლაბორატორიული ფენომენიდან კლინიკურ წარმატებამდე“.

**რაულ ბინიაურიშვილი Raoul Biniaurishvili (ბინი)** - მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული მაღალკვალიფიცირებული ნევროლოგი, ფსიქიატრი და ძილის დარღვევათა ექსპერტი გახლავთ. 1978 წ. დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „საფეთქლის ეპილეფსიის ძილისღვიძილის ციკლის კლინიკურ-ფიზიოლოგიური ანალიზი“. რეზიდენტურა Mt. Sinai School of Medicine, ნიუ-იორკში გაიარა. 20-ზე მეტი წლის პრაქტიკა აქვს ნევროლოგიაში დიაგნოსტიკა და მკურნალობის: დარღვევები თავის ტვინის, ზურგის ტვინის, პერიფერიული ნერვების, კუნთების. მკურნალობს პაციენტებს თავის ტკივილი, ინსულტის, დემენცია, კრუნჩხვები, ეპილეფსია, გაფანტული სკლეროზის, ძილის დარღვევები და კუნთოვანი დაავადებების დიაგნოზით. გახლავთ აფილილერებული კლინიკებთან Thomas Jefferson University Hospital, Aria Hospitals, Robert Wood Johnson University Hospital, and the Princeton Medical Center, როგორც კლინიკური ინსტრუქტორი. ამერიკული საბჭოს ძილის მედიცინის სფეროში დიპლომანტია. წარმატებით მკურნალობს ყველა სახის ძილის დარღვევებს, მათ შორის ძილის აპნოე, კიდურების მოძრაობის დარღვევები, უძილობა და ნარკოპლექსია.

**მერაბ სარელი Merab Sareli (იზრაელაშვილი)** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ხაიმ შიბას სახელობის სამედიცინო ცენტრის ონკოლოგიური ქირურგიის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი; სარმევე ჯირკვლის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქირურგიულ დაავადებათა ექსპერტი საქართველოში; აშშ-ის,

ევროპისა და აზიის რიგი ქვეყნების ქირურგიულ და ონკოლოგიურ საზოგადოებათა წევრი, მათ შორის: ჰეპატოლოგთა მსოფლიო ასოციაციის (შვეცია) წევრი და ინტერნაციონალური გასტრო-ქირურგიული კლუბის (საბერძნეთი) ნამდვილი წევრი. ოთხი პატენტისა და რიგი მეთოდური დამუშავებების, 130 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მოსკოვის ონკოლოგიური ცენტრის სამეცნიერო საბჭოზე იცავს (1985 წ.) სადოქტორო დისერტაციას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგის სტატუსს უთავსებდა საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ორი ქირურგიული განყოფილების კლინიკური ხელმძღვანელის თანამდებობას. მისი ინტერესი იხრებოდა ღვიძლის რეზექციის გავლენის შესწავლისაკენ კუჭის სეკრეტორულ ფუნქციის ექსპერიმენტში. 1990 წელს წარსდგა თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე საჩვენებელი ლექციით. 1992 წელს ამოვიდა ისრაელში და შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ონკოლოგიური ქირურგიის განყოფილების წამყვან სპეციალისტად მსახურობს. სათავეში იდგა საერთაშორისო ფონდი „სტენტ“-ის ჩამოყალიბების პერიოდში. ის გარდა საავადმყოფოსა მუშაობს ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურების სხვადასხვა ფონდში.

**რუენ ელიგერი Ruben Eliger (რობერტ ელიგულაშვილი)** - წარჩინებით დაამთავრა ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობას იწყებს თბილისის მეორე კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგიულ განყოფილებაში. მოსკოვში განაგრძო დახელოვნება ღვიძლის ქირურგიაში და ამ პროფილით შეასრულა საკვალიფიკაციო დისერტაცია. 10 წლის განმავლობაში იყო ქირურგიული განყოფილების გამგე თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, კითხულობდა ლექციებს სამედიცინო ინსტიტუტში. ამჟამად, ისრაელში აქვს ქირურგი – სპეციალისტის წოდება, მუშაობს მთავარ ექიმად კაპლანის საავადმყოფოში, ასწავლის იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს კლინიკებს კუპათ ხოლიმ “ქლალით”-ში, “მაკაბი”-ში და “ლეუმიტ”-ში. დ-რი ელიგერი ატარებს ფართო სპექტრის ოპერაციებს: კუჭ-ნაწლავზე, თიაქარის, სარძევე ჯირკვალის, პროქტოლოგიურ და ლაპაროსკოპიულს კაპლანის და ასუტას საავადმყოფოებში.

**რაული ფიჩხაძე Raul Picchadze** - სმოლენსკის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული (1973წ.), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პრიოროვის სახ.

ტრავმატოლოგია-ორთოპედიის ცენტრალური სამედიცინო კვლევითი ცენტრის დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. მენაშე ჩიკვაშვილის სამაგალითო ექიმთა დინასტიის შთამომავალი, მშობლების გზას გაჰყვა: დედა, ქალბატონი ლია ჩიკვაშვილი - რენტგენოლოგი, მამა, მიხაილ ფიჩხაძე - ნერვოპათოლოგი. პროფესორ ფიჩხაძის მიერ შექმნილია პრინციპულად ახალი დონის ძვალთა მოტეხილობათა ფიქსაციის ბიომექანიკური კონცეპტი და მოდელები. ეს სამეცნიერო კვლევა გამოქვეყნებულია 300-ზე მეტ ნაშრომით: მათ შორის სასწავლო ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და ვრცელი მიმოხილვები რუსულად, ინგლისურად და ივრითზე. 2018 წელს დასტამბული ბუკლეტი ძვირფასი ილუსტრაცია არის იმის, თუ რამდენად სასარგებლოა ექიმთა დახელოვნების სალექციო კურსში, რომელსაც პროფესორი ფიჩხაძე კითხულობს ასაფ-აროფესა და შაარეი აცედეკის სამედიცინო ცენტრში. 85 გამოგონება აქვს დაპატენტებული ოსთეოსინთეზის საკითხებში და განაგრძობს მოდელთა მოდიფიკაციას. აღჭურვილი გარკვეული გამოცდილებით მენჯის დაზიანებების მკურნალობის შემთხვევაში, მან გამოსცა ატლასი „კიდურების და მენჯის მოტეხილობა (ბიომექანიკური კლასიფიკაცია). - London - მოსკოვი: Blue Chip გამომცემლობა, 2002. - 176 გვ. მოცემულია ტექნიკური აღწერილობა ფიჩხაძის მიერ გამოგონებულ აპარატურისა მონოპოლარული და პოლიპოლარული გრძელი და მენჯის



ძვლების ფრაგმენტების ფიქსაციის. მოღვაწეობს საავადმყოფოში შაარეი აცედევ - ქირურგი-ორთოპედი. რაულ ფიჩხადის ოჯახი წარმატებულ დასტაქართა მაგალითია: მეუღლე - კარდიოლოგი, ქალიშვილები: ლიკა - ლორენგოლოგი საავადმყოფო აემეკში, ოლგამ დაიმკვიდრა თავის რენტგენოლოგიის სტატუსი - შაარეი აცედევში. ახალგაზრდა სპეციალისტს დაევალა საავადმყოფოს სასწავლო-საგამანათლებლო სემინარების მომზადება-ჩატარება.

**მანანა ლაპიდუს Manana Lapidus (ჯანაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1974 წ.), ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტში აგრძელებს სტაჟირებას და სამეცნიერო კვლევას. 1986 წ. კარდიოლოგია და იმუნოლოგიაში დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „გულის იშემიური დაავადების იმუნური ასპექტები, მიოკარდიტი და კარდიომიოპათია“. ნაყოფიერი პრაქტიკა კარდიოლოგიაში საქართველოში შეიძინა. 1990 წელს აშშ-ში გადადის და ბალტიმორში განაგრძობს ზრდას და დახელოვნებას კლინიკურ კარდიოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ქირურგიულ ნეიროფიზიოლოგიაში. რეზიდენტურა გაიარა Maimonides Medical Center და 2014 წლიდან ვეტერანთა დეპარტამენტის მთავარი ფსიქიატრია Hampton Medical Center, Virginia state, უძღვება ფსიქიური ჯანმრთელობის პრობლემების სამსახურს ამბულატორულ განყოფილებაში. განუწყვეტლივ აგრძელებს სამეცნიერო კვლევებს, არის სადოქტორო ნამუშევართა ხელმძღვანელი და პროგრამების კოორდინატორი. მრავლად წარმოდგენილ პუბლიკაციათა შორის, აღსანიშნავია ნეიროფიზიოლოგიაში გამოქვეყნებული ნაშრომი „ინტრაკრანიალური ცერებრალური იშემიური დაავადების მაღალი რისკის კავკასიური რასის პაციენტების პოსტკარდიოქირურგიული ოპერაციების შემდგომი მკურნალობა“; „პერსპექტიული გრძივი შესწავლა სეზონურობის გავლენა აფრიკელ სტუდენტებში დიდი Washington არეში“. გამოქვეყნებული აქვს მიმოხილვები: „ანთებითი პროცესები, თავის ტვინის ტრავმული დაზიანება და თვითმკვლელობა“; „სეზონური ცვლილებებით გამოწვეული განწყობის გაუარესება“. თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის საკითხებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ალცგეიმერის დაავადების პროგნოზირებაში, მკურნალობასა და ანალიზში. აქვს გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია, როგორც წიგნებში ისე ვრცელ მიმოხილვებში: „განწყობის დარღვევები და სუიციდი“.

**მიხაილ ციციაშვილი Michael Tsitsiashvili** - განათლება მე -2 MOLGMI პიროგოვის სახ.(1975) ინსტიტუტში მიიღო. მე-4 ქირურგიული განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ეროვნული სამეცნიერო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ დაავადებათა განყოფილების პროფესორი. მოღვაწეობს 1982 წლიდან რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი სამედიცინო უნივერსიტეტში, ქირურგიული დაავადებათა განყოფილებაში, პედიატრიულ ფაკულტეტზე. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქირურგიის და სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი სამკურნალო დარგში (1975 წლიდან). კვლევის სფერო: კოპოპროტოლოგია, ზოგადი, კარდიოვასკულური, გულმკერდის ქირურგია, ონკოლოგია. რუსეთის ქირურგთა საზოგადოების წევრი.

**მერაბ კრიხელი Merab Kricheli** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მან დაასრულა რეზიდენტურა ზოგად ქირურგიაში კათედრაზე SUNY at Stony Brook, NY 1991 წელს და კერძო ქირურგიულ პრაქტიკას შეუდგა. 2006 წლიდან Mount Sinai Beth Israel გახდა ქირურგიული განყოფილების უფროსი და ვიცე-თავმჯდომარე. ამავე დროს ის ინარჩუნებს კერძო პრაქტიკას. სპეციალისტი

გახლავთ კუჭ-ნაწლავის, ადენოკარცინომის, თიაქარის, მკერდის, ფილტვის ემბოლიის, ელენთის და ღვიძლის დაზიანებათა ოპერაციების და ინვაზიური მეთოდის, ლაპაროსკოპია. დოქტორი ავტორია რამდენიმე რეცენზირებული სტატიის მსოფლიოში აღიარებული სამედიცინო ჟურნალებში. ასოცირებული პროფესორი The Mount Sinai Hospital Mount Sinai Brooklyn, ხშირად ურთიერთქმედებს სამრეწველო კომპანიებთან; ხელსაწყოებისა და ბიოტექნოლოგიების სიახლეთა შესაძენად პაციენტთა მოვლის გასაუმჯობესებლად. America's Top Surgeons დასახელებულია 1998-99 წ.

**გურამ ხარაზი Guram Harazi (ხარაზიშვილი)** - ცხოვრების გზად მედიცინა აირჩია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გაიტაცა მეცნიერებამ. 1985 წ. ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1989 დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად გრიფით "იმუნოლოგია და ალერგოლოგია" თემაზე "ზოგიერთი სოციალ-ეკონომიკური და ფიზიკური ფაქტორის გავლენის თავისებურებანი ბრონქული ასთმის გავრცელებასა და მიმდინარეობაზე მსხვილი სამრეწველო ქალაქის პირობებში". როგორც ასპირანტურაში სწავლების პერიოდში, ასევე მის შემდეგაც მისი შრომები ქვეყნდებოდა პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. მოხსენებებით გამოდიოდა საერთაშორისო კონგრესებზე. 1992 წ. ისრაელში ამოდის, უმოკლეს ხანში იღებს უფლება-ლიცენზიას და წარმატებით აგრძელებს სამედიცინო პრაქტიკას.

**იური ბუზიაშვილი Yuri Buziashvili** - დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი სეჩენოვის სახ. 1 სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (1977 წ.). 1990 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება (1993). 1977 წლიდან - მუშაობს ბაკულების სახ. გულის ქირურგიის და სისხლძარღვთა სამეცნიერო ცენტრში. 1989 წლიდან - ლაბორატორიის გამგე ფუნქციური დიაგნოსტიკის, ამჟამად კლინიკურ-სადიაგნოსტიკო განყოფილების. 1999 წ.-დღემდე - დირექტორის მოადგილე გულის ქირურგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში და კლინიკურ-სადიაგნოსტიკო განყოფილების უფროსი. 2011-13 წწ. - მოსკოვის ჯანდაცვის დეპარტამენტის მთავარი კარდიოლოგი. გახლავთ ავტორი ნოვატორული შემუშავებული და დანერგილი მეთოდების. შეისწავლა ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე ლაზერული გავლენა მიოკარდიუმზე, რომლებიც საფუძვლად დაედება ტრანსმიოკარდიუმის ლაზერულ რევასკულარიზაციას. ავტორი 650-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 18 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო; სამეცნიერო ხელმწიფანელია 12 სადოქტორო და 50-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაციის. 2006 წელს მიენიჭა რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 2013 წელს არჩეულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

**მიხაელ პეერ Michael Peer (მურთაზ ფიჩხაძე)** - სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა (1977 წ.). ინტერნატურა განაგრძო ნეიროქირურგიის სპეციალიზაციით და მსახურობს სარატოვში კლინიკაში; პარალელურად სამეცნიერო კვლევას შეუდგა. 1986 წ. ქალაქ კიევში დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი ნეიროქირურგიაში, PhD. 1989 წლიდან აგრძელებს ნეიროქირურგიულ პრაქტიკას თბილისის სპეციალიზირებულ საავადმყოფოში. 1994 წლიდან ისრაელში, იერუშალაიმის წამყვან კლინიკაში Hadassah Ein Kerem მსახურობს ნეიროქირურგიის განყოფილებაში. 2000 წლიდან ისრაელის სამხედრო სამსახურის ექიმად.

**მალხაზ ალონი Malkhaz Alon (ელუაშვილი)** – MD, PhD. 1971 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1977 წელს თბილისის სამედიცინო

ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, სადაც კლინიკური ორდინატურა გაიარა რენტგენოლოგიასა და რადიოლოგიაში. ინიშნება თბილისის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ინსტიტუტში რენტგენოლოგიის განყოფილების გამგედ. თიანეთის რეგიონალურ საავადმყოფოში მიან-გინეკოლოგად მუშაობდა. 1985-87 წწ. ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ორდინატორი მიან-გინეკოლოგიის კათედრაზე, შემდგომ მოსკოვის სემაშკოს სახ. სამედიცინო უნივერსიტეტში აგრძელებს მოღვაწეობას. 1989 წელს დაიცვა დისერტაცია „აირ-თხევადი ქრომატოგრაფიის მნიშვნელობა საკეისრო კვეთის ანაეროზული გართულებების დიაგნოსტიკაში“. ამ პერიოდში აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებში კვლევის შედეგებს, რეგისტრირებული პატენტის ავტორია, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. 1990 წელს ისრაელში ამოდის და ექიმის ლიცენზიის მფლობელი ხდება, პრაქტიკულად შეუდგა სპეციალობით მუშაობას: ტელ-ამომერის, ზივის, ვოლფსონის საავადმყოფოების გინეკოლოგიური განყოფილების რეზიდენტი; სხვადასხვა ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებში მსახურობს. 2008 წელს დაარსა და ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამედიცინო კომპანიას "Exclusive Medical Services Worldwide Ltd". 50 წლის სტაჟიან დასტაქარს აქვს მრავალი სპეცილიზაცია: უმაღლესი ხარისხის მიან-გინეკოლოგი, რენტგენოლოგ-რადიოლოგი, ექიმი-გერიატრი და ოჯახის ექიმი.

**რევაზ სეფიაშვილი Revaz Sepiashvili** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი. 1978 წელს კუბანის სამედიცინო ინსტიტუტში, კრასნოდარში დაასრულა სწავლება. 1978 -82 წწ. სწავლობდა ასპირანტურაში, მუშაობდა პათოფიზიოლოგიის კათედრაზე. 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა წყალტუბოში ორგანიზებულ იმუნოლოგიურ ცენტრს. 1989 წ. სეფიაშვილმა წარმატებით ჩაატარა იმუნოლოგთა I საუნივერსიტეტო კონგრესი სოჭში. აკადემიკოს რ. ვ. პეტროვის წინადადებით აირჩიეს საბჭოს, პრეზიდიუმის წევრად და იმუნოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად. 1990 წელს წყალტუბოში შექმნა და ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. 2016 წელს იგი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად - ახალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელი - იმუნორეაბილიტაცია. 350-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია უცხოურ პერიოდულ გამოცემებში, სახელმძღვანელო „შესავალი იმუნოლოგიაში“ ავტორია, გამოაქვეყნა 18 მონოგრაფია და სახელმძღვანელო იმუნური სისტემის რეაბილიტაციისა, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემების შესახებ. სამეცნიერო ჟურნალების დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: "ალერგოლოგია და იმუნოლოგია"; "ასთმა"; "იმუნური რეაბილიტაციის საერთაშორისო ჟურნალი"; სარედაქციო საბჭოების წევრი: «Elsevier» - «Clinical and Applied Immunology Reviews» და «Allergy, Clinical Immunology International» (Journal of the World Allergy Organization). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ექსპერტი, უმაღლესი საატესტაციო კომისიის საექსპერტო საბჭოს წევრი (2002 წლიდან). მისი ხელმძღვანელობით 9 სადოქტორო და 20 სამაგისტრო დისერტაცია არის წარდგენილი.

**იოსებ დავარი Joseph Davar ( სოსო, თენგიზ დავარაშვილი)** – 1978 წელს დაამთავრა წითელ დიპლომზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამკურნალო ფაკულტეტი, ექიმ-თერაპევტის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდიდან ეწევა სამეცნიერო კვლევას გულის სხვადასხვა სახის დაავადებათა მკურნალობის სფეროში. აქვს გამოქვეყნებული 100

მდე პუბლიკაცია წამყვან სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში. ავტორი მონოგრაფიების (1985) „მიტრალური სარქველის პროლაფსი“, „ექოკარდიოგრაფიის ატლასი“ (1988). დავარი ადრე მოღვაწეობდა თბილისსა და მოსკოვში, სადაც მას მიენიჭა სსრკ მეცნიერებათა სამედიცინო აკადემიის საპატიო მიასნიკოვის სახ. პრემია. კვლევას და სტაჟირებას გადიოდა ლიტვის, გერმანიის და ბრიტანეთის წამყვან კარდიო ცენტრებში. დაიცვა ჯერ საკანდიდატო (1983) და შედგომ (1991) სადოქტორო დისერტაცია დოპლერექოკარდიოგრაფიაში. 1993 წლიდან გადადის ლონდონში. დავარი რეგულარულად ატარებს ლექციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპული კომიტეტის ქვეყნებში. დავარი უკვე აღიარებულია არაერთხელ მისი მიღწევების სფეროში, მათ შორის დაჯილდოვდა კვლევის British Heart Foundation გრანტით და არჩეულია ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის (2011 წ.) საერთაშორისო თანამშრომელად.

ლონდონში საქმიანობა მოიცავს Consultant Cardiologist at the Royal Free Hospital in Hampstead, London and Honorary Senior Lecturer at UCL. მისი პრაქტიკა ლონდონში: The Wellington Hospital; The Wellington Diagnostic Centre; Hospital of St John & St Elizabeth; The Garden Hospital and Spire Bushey Hospital. კვლევის სფერო მოიცავს Non-Invasive Diagnosis and Management of Coronary Artery Disease, Valvular Heart Disease, Heart Failure and Hypertension, Cardiomyopathies (diseases of heart muscles), including Chemotherapy induced Cardiomyopathies. არის წევრი ბრიტანეთის, ევროპის და ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების, აღიარებული მკვლევარი, მენტორი და კლინიკისტი ამ სფეროში. გახლავთ ექსპერტი: არაინვაზიური გულის კვლევაში (echo, სტრესი, გულის CT), გულის იმემიური დაავადება, უკმარისობა, სარქველების დაავადება, კარცინოიდული გულის დაავადება, ჰიპერტენზია.

**თეიმურაზ ელიგულაშვილი** - მედიცინის დოქტორი Newark Beit Israel hospital-ის ძილის ცენტრის კლინიკური დირექტორი გახლავთ. მან დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი სერჩენოვის სახ. 1 სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და სამეცნიერო კვლევა განაგრძო ძილის მედიცინასთან დაკავშირებულ საკითხებში. მან ორ ეტაპად დაიცვა საკვალიფიკაციო ხარისხი. 1989 წ. „ეპილეფსიით და ნეიროგენული გულყრით დაავადებულთა ძილის აღკვეთა (კლინიკური და ფიზიოლოგიური კვლევები“; 1998 წელს „ძილში აპნოეს სინდრომის ნევროლოგიური ასპექტები“. 2002 წ. მისი თანაავტორობით გამოიცა მონოგრაფია „აპნოეს სინდრომი ძილის დროს“.

**რიმა ბარ იოსები Rimma Bar Yoseb (კაკიაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1980 წ.), ნევროლოგიის სპეციალიზაციით განაგრძობს ორდინატურას ნევროლოგიის საავადმყოფოში. თბილისში (1987-2002 წწ.) მუშაობდა მთავარ ექიმად ზოგადი ნევროლოგიის დეპარტამენტში და კლინიკური ელექტროფიზიოლოგიის ლაბორატორიაში კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ეროვნულ ცენტრში. კლინიკური და კვლევითი მასალის დაგროვების შემდეგ იცავს საკვალიფიკაციო ნაშრომს ნევროლოგიაში და ენიჭება PhD ხარისხი (1995). გამოცდილი ნევროლოგი გახლდათ ამ ცენტრის ეპილეფსიის დაავადების ექსპერტი და სამედიცინო კონსულტანტი, კომპიუტერული ტომოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2006-2010 წწ. ისრაელში, საავადმყოფო ასაფ-ა-როფე, ნევროლოგიის სპეციალიზაციით გაიარა რეზიდენტურა. 2010 წლიდან სამედიცინო ცენტრში Hadassah Ein Kerem, ეპილეფსიის კათედრაზე ნევროლოგიის განყოფილებაში მოღვაწეობს. ნევროლოგიის ექსპერტი, ირუმალაიმის ოლქში, ექიმი-ეპილეპტოლოგი გახლავთ Clalit-ის ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურების კომპანიაში.

**ბარ ჩიკმან Bar Chikman (ზორის ჩიკვაშვილი)** - სამედიცინო ცენტრი Assaf Harofeh, უმაღლესი კატეგორიის ქირურგი, მკერდის ქირურგიის განყოფილებას განაგებს. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ მკერდის კიბოს პროგნოზირების, მიმდინარეობის და მკურნალობის თანამედროვე მიდგომა“ ბლოხინის სახ. ეროვნულ სამედიცინო ონკოლოგიის კვლევით ცენტრში. 30-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი გახლავთ. ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნიერებასა და ტექნიკაში. ქირურგი-ოპერატორი ასუტას საავადმყოფოში და მაკაბის ჯანმრთელობის დაზღვევის სალაროში.

**ალექს სევერ Alex Sepper (სეფიაშვილი)** - სწავლობდა მოსკოვის 1 სამედიცინო ინსტიტუტში (1969-72წწ.), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1976 წ.). მსახურობდა საქართველოს ეროვნულ ონკოლოგიურ ცენტრში (1980-94 წწ.). PhD თემაზე: „სარძევე ჯირკვლის კისტის წარმოქმნაში პათოფიზიოლოგიური მექანიზმების შეფასება, რომელიც განისაზღვრება სხვადასხვა გენეზის ჰორმონალური დისფუნქციით“ დაიცვა 1984 წელს. 1997 წლიდან მოღვაწეობს აშშ-ში სამეცნიერო კომპანია BioNova, Inc. Department of Research & Development. ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსების ნანოტექნოლოგია ხდება თანამედროვე ცხოვრების მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსები ხშირად ანაცვლებს ტრადიციულ მიდგომებს ბიო-ფარმაცევტულ, ნუტრიცეუტიკულ და კოსმოსურ ინდუსტრიებში და აჯილდოვებს მილიონობით მომხმარებელს მაღალეფექტური პროდუქტით. ბოლოდროინდელი ტენდენციების ანალიზმა აჩვენა, რომ ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსების ნანოტექნოლოგია ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს 21-ე საუკუნის მეცნიერებაში. მან შეძლო უნიკალური წვლილი შეეტანა ამ სფეროში, როგორც მკვლევარს და გამოცდილ ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკოს ექიმს. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში (2002 – 2013წწ.). ინვესტიციები და წინადადებების რაციონალიზაციის გრანტების მომპოვებელია. აქვს მრავალი პუბლიკაცია სტატიების და წიგნების სახით, როგორც ონკოლოგიის განხრით, ასევე "ნანოტექნოლოგიური პლატფორმა პროდუქტების განვითარებისათვის, რომლებიც ორიენტირებულია თვითმმართველობის სამკურნალო პროცესების გაძლიერებაზე“ ( პროფ. მ.დანიელოვთან თანაავტორობით).

**დავით დავარაშვილი David Davarashvili** - წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, მეან-გინეკოლოგიის სპეციალობით (1981). ჩართული იყო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოში სტუდენტობიდან. ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატურაში გინეკოლოგიის კათედრაზე ლენინგრადის კიროვის სახ. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. ბრუნდება საქართველოში, მუშაობს კ.ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1988 წ. დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია: „არაინვაზიური ულტრაბგერითი დოპლერ მეთოდით სისხლის მიმოქცევის შესწავლა ნაყოფის, ჭიპლარისა და საშვილოსნოს სისხლძარღვებში“. გაიარა სტაჟირება ლონდონის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში (1993, 1998, 2000 წწ.). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია. დანერგილი აქვს პიონერული მეთოდები საქართველოში: გენეტიკური და სამკურნალო ამნიოცენტეზი, ტრანსაბდომინური ქორიონის ბიოფსია, ამნიოდრენირება სხვადასხვა გენეზის მრავალწლიანობის დროს, რეზუს კონფლიქტის დროს სისხლის გადასხმა ჭიპლარში ორსულობის დროს და ა.შ. ღირსეულად წარმოაჩინა საქართველოს მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. 2015 წლიდან კერძო კლინიკის დირექტორი გახლავთ - DDC.

**გოლდა გუდეს Golda Hudes (ჩიკვაშვილი)** - დოქტორი, ასისტენტ პროფესორი Albert Einstein College of Medicine ალერგიის, იმუნოლოგიის და ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე.

მან განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, ალერგოლოგიაში დაიცვა დისერტაცია PhD (1979 წ.). თბილისის სარეაბილიტაციო ცენტრის კვლევით ინსტიტუტში განყოფილების უფროსად მუშაობდა და იკვლევდა კარსტულ მღვიმეებში სპელეოთერაპიის გამოყენებით მკურნალობით გამოწვეულ იმუნურ ცვლილებებს ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტებში. სტაჟირება და რეზიდენტურა Metropolitan Hospital Center, Stony Brook University Medical Center, and Jacobi Medical Center; and the Einstein Allergy/Immunology. მისი კვლევა ეხება ასთმის და ქრონიკული რინოსინუსიტის მკურნალობას. იგი არის ჩართული მრავალ კლინიკურ კვლევებში: ასთმით დაავადებულთა ტრადიციული და ექსპერიმენტული პრეპარატების ეფექტურობის და უსაფრთხოების საექსპერტო შეფასებაში. გამოქვეყნებული აქვს 50ზე მეტი სამეცნიერო სტატია, რეფერატები, მიმოხილვითი სტატიები და ავტორია წიგნებში შეტანილ მასალებში. იგი მენტორი გახლავთ მრავალი სამედიცინო კოლეჯის სტუდენტის. დოქტორი გუდესი არის ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის ამერიკული აკადემიის, აღმასრულებელი კომიტეტის New York ალერგიისა და ასთმის საზოგადოების წევრი, სადაც იგი მსახურობდა როგორც პრეზიდენტი, ხაზინადარი და მდივანი სხვადასხვა პერიოდში.

**ნონა რაფაელი Nona Raphaeli (ჩიკვაშვილი)** - იაროსლავლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1981 წ.). ინტერნატურას თერაპიაში გადის, ინიშნება ქ.ქუთაისის პირველი საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსად. აქ გაიარა ორდინატურა პულმონოლოგიაში და ამავე განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა. დახელოვნებას აგრძელებს ლენინგრადის პულმონოლოგიურ ინსტიტუტში, ითვისებს ფილტვის პათოლოგიის მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. 1995 წელს, ისრაელში ამოსვლისთანავე, სტაჟირებას გადის ასაფ-ა-როფეს საავადმყოფოში. შემდგომ „კლალიტ“ის სალაროში. 2000 წელს წარმატებით აბარებს საკონკურსო გამოცდებს და უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკის მთავარ თერაპევტად ინიშნება. ამ სამსახურის მაიორის წოდება აქვს. პერმანენტულად განაგრძობს დახელოვნებას და სიახლეთა ათვისებას. პარალელურად ეწევა კვლევით სამუშაოს ციხის ავადმყოფთა შიდსის, ტუბერკულოზის დაავადებათა გამოვლენა-მკურნალობის საკითხებში.

**ნანა ბენ ცვი Nana Ben Zvi (სეფიაშვილი)** – სწავლა ქ.ივანოვოში დაიწყო და დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (1982 წ.). რეზიდენტურა კლინიკური ონკოლოგია და რადიოთერაპიაში გაიარა ონკოლოგიის ინსტიტუტში, სანკტ-პეტერბურგში (1983 წ.); 1990 წ. სხივურ თერაპიაში, მოსკოვის ონკოლოგიის ცენტრში. 1984-89 წწ. - თბილისის ონკოლოგიის ცენტრში - ექიმი-რადიოთერაპევტი. 1991 წ. ამოდის ისრაელში და 1999 წლამდე გაიარა ონკოლოგიური და რადიაციული თერაპიის რეზიდენტურა თელ-აშომერის სამედიცინო ცენტრში. 1999-2007 წწ. - უფროსი ონკოლოგი Kaplan Medical Center. ამ პერიოდში იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში სალექციო კურს კითხულობდა. არის რამოდენიმე ასოციაციის აქტიური წევრი, მათ შორის: Israeli Medical Association, Israeli Society of Clinical Oncology and Radiation Therapy, Israeli Society for Gynecological Oncology, American Society of Clinical Oncology. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო კვლევის შედეგები სამედიცინო აკადემიურ გამოცემებში. 2008 წლიდან დოქტორი ნანა ბენ ცვი რადიაციული თერაპევტი და ონკოლოგი Novartis კორპორაციის სამედიცინო დირექტორია ონკოლოგიის სფეროში. მას აქვს ღრმა ცოდნა და პრაქტიკა ონკოპრერატების გამოყენებაში. Novartis International AG ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კორპორაციაა, ინოვაციური მედიკამენტების შექმნის, განვითარებისა და შესწავლის ახალი დაპატენტებული წამლების

წარმოების და გაყიდვისა; აგრეთვე რეცეპტული პრეპარატების გაყიდვა ონკოლოგიური, იმუნოლოგიის, ტრანსპლანტაციის, კარდიოლოგიის, დერმატოლოგიის, ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, ენდოკრინოლოგიის და სხვა მრავალი მედიცინის სფეროებში. ღირსეულად წარმოაჩენს ისრაელს მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

**რამი იაკობი Rami Yakobi (იაკობიშვილი)** – 1982-90 წწ. პადუას (იტალია) უნივერსიტეტში მიიღო სამედიცინო განათლება MD, შემდგომ ტენესის უნივერსიტეტში (აშშ) მიენიჭა ჯანმრთელობის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. ინტერნატურა ნიუ-იორკის მაიმონიდის სამედიცინო ცენტრში, რეზიდენტურა მეტროპოლიტენ ჰოსპიტალში, სასწრაფო (გადაუდებელი) დახმარების განყოფილებაში. შემდგომ მოღვაწეობდა კორნელის სამედიცინო კოლეჯში, სასწრაფო დახმარების კათედრის დოცენტად. 2007 წლიდან ბევრ ისრაელის გადაუდებელი დახმარების განყოფილების გამგე, ატარებს სალექციო კურსს. გამოსცა სახელმძღვანელო „NY Handbook of Emergency Medicine“. 2018 წლიდან სენტ-მაიკლის სამედიცინო ცენტრის თავმჯდომარეა. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში და მოხსენებულია სამეცნიერო კონფერენციებზე. წლების მანძილზე აგრძელებს გადაუდებელი დახმარების სფეროში სწავლებას ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიაში. პაციენტებთან ურთიერთობას სამედიცინო პრაქტიკაში ენების ცოდნა უმარტივებს: ქართული, რუსული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ივრითი.

**მიხაილ დანიელოვი Michael Danielov** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში (1976–1989 წ.) მოღვაწეობდა; დაარსა და ხელმძღვანელობდა ჰორმონების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რადიონუკლიდების მიკროანალიზის ლაბორატორიას. დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია პათოფიზიოლოგიაში (1985 წ.). გადადის საცხოვრებლად ამერიკაში, სადაც ანვითარებს ამ სფეროში სუბსიდირებულ კვლევას (1990-97 წწ.). 1997 წელს, დაარსების დღიდან მსახურობდა BIONOVA-ს აღმასრულებელ უფროსად და პრეზიდენტად, შეიმუშავა ბრენდის სტრატეგიული მიმართულება და ზედამხედველობას უწევს ყველა კვლევასა და ოპერაციას. პროფესორმა მ.დანიელოვმა ჩაატარა ძალიან რთული, ვრცელი და ძვირადღირებული ექსპერიმენტები, რომლის მეშვეობითაც იქნა შესწავლილი ჰომეოსტაზის მარეგულირებელი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების 80-ზე მეტი (სამეცნიერო კვლევა იყო მიმართული ჰორმონების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ინტერ-და უჯრედგარეშე სიგნალიზაციაზე) და 100-ზე მეტი ჰემოდინამიკური პარამეტრები. შემუშავებულმა მოდელებმა საშუალება მისცეს პროფ.დანიელოვს სრულყოფილად გააცნობიეროს დინამიკა იმისა, თუ როგორ არეგულირებს სასიცოცხლო სისტემები უჯრედშიდა პროცესებს. პირველი კომერციული ნანოტექნოლოგიური მიდგომა მეცნიერების მიღწევების დანერგვისა სასიცოცხლო ინდუსტრიაში. მიზნობრივად Nanocomplex BIONOVA სარგებლობით შესაძლებელია შეცვლა თითოეული პროდუქტის სამომხმარებლო, კონკრეტული კანის მოთხოვნილებისამებრ. პიონერული სამეცნიერო ბიოსაინჟინრო მიდგომის შედეგად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პროფესორმა დანიელოვმა განავითარა სხვადასხვა პროდუქცია Opti-Path™ და NuCell-Direct™. არის ავტორი 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის და წიგნის “Pathogeneses and Tanatogenesis of Post-Aggressive Reactions of the Living Organism”.

**რაფაელ ენუქაშვილი Raphael Enukashvili** - მიიღო განათლება მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიაში, განაგრძო ასპირანტურაში სწავლა და კვლევა სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის (მოსკოვი) კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტში. დაიცვა PhD

ხარისხი ფიზიოლოგიაში. გადადის აშშ-ში საცხოვრებლად. რეზიდენტურა შინაგანი და გერიატრიულ მედიცინაში გაიარა Metropolitan Hospital Center of New York Medical College, NYC და Bergen Regional Medical Center UMDNJ, Paramus. სწავლების პროგრამა გერიატრიაში დაასრულა Hackensack University Medical Center UMDNJ. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში პრაქტიკოსი-ექიმი გახლავთ კომპანია Marlboro, NJ.

**ური შაბთო Uri Shabto (შაფთოშვილი)**- Sacsh Corp პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი, Harvard Medical School კურდამთავრებულია (1982-1986 წწ.). ინტერნატურა ოფტოლმოლოგიაში გაიარა Lenox Hill Hospital. 25 წლის განმავლობაში მსახურობდა President Retina Consultants of NY Employment. ამ პერიოდში მრავალჯერ დასახელდა America's Top Doctors. გამოცდილი პროფესიონალი მიწვეულ იქნა მრჩეველად და ექსპერტად ბიოტექნოლოგიის ინდუსტრიის, სამედიცინო მოწყობილობების, ჯანდაცვის მენეჯმენტის, ჯანდაცვის, კლინიკური კვლევის, და სამედიცინო განათლების, ხარისხიანი ჯანდაცვის პროფესიული მომსახურების სამსახურში. პარალელურად Norlase, Copenhagen საბჭოს წევრია. Norlase არის განვითარებადი გლობალური ოფთალმოლოგიური სამედიცინო მოწყობილობის კომპანია, მომავალი თაობის ბადურის და გლაუკომის დაავადებათა ლაზერული მკურნალობის სფეროში. Norlase შედგება მსოფლიო ინდუსტრიის ლიდერების და ექსპერტებისაგან. წარმატებულ დასტაქარს პუბლიკაციები და პრეზენტაციები აქვს გლაუკომის და რეტინის მკურნალობის თანამედროვე მიდგომაში.

**სიმონ (დობრი) იაკობაშვილი Simon Yakobashvili** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული (1983) სპეციალიზაციით ანესთეზიოლოგიის ირჩევს. გამოცდილების პირველი ნაბიჯები ბათუმში მთავარ საავადმყოფოში, შემდეგ კი რეზიდენტურა (1986-92 წწ.) სამედიცინო ანესთეზიაში და ანესთეზიის დეპარტამენტის დირექტორი თბილისის კლინიკაში. 1993 წელს ისრაელში ამოდის და ლიცენზირებული ექიმი (1994-2000 წწ.) - რეზიდენტი გახლავთ ანესთეზიის სპეციალობით Wolfson სამედიცინო ცენტრში. 2000 წლიდან მკურნალი ექიმ-ანესტეზიოლოგი Wolfson სამედიცინო ცენტრში. პარალელურად ტკივილის ლაბორატორიის გამგე კლინიკაში, მაკაბის ჯანდაცვის მომსახურების სამსახურში ინიშნება ანესთეზიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, და 2015 წლიდან - სამედიცინო ანესთეზიის ერთეულის უფროსად Wolfson სამედიცინო ცენტრში. დასტაქარის კლინიკური ინტერესი მოიცავს: გულ-სისხლძარღვთა და გულმკერდის, პედიატრიული, ზოგადი, სამედიცინო ანესთეზია და ტკივილის აცილების მკურნალობას. თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ლექტორი დასახელებულია წარჩინებულთა შორის ექიმთა დახელოვნების, ექთნების და სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტების სასწავლო პროგრამებში. ანესტეზიაში ისრაელის საგამოცდო საბჭოს წევრია; ისრაელის ანესთეზიოლოგთა საზოგადოებაში არის არჩეული. მისაბადი კარიერული სვლა მიღწეული იქნა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვით: 2002 წელს, ლონდონში, კურსი სამედიცინო ანესთეზია, 2003 წელს, მიუნხენში პედიატრიულ გულის ანესთეზია, 2005, NJ, ამერიკის შეერთებული შტატები, კურსი ტკივილის აცილება, 2013 - მოდერნიზებული კურსი ანესთეზიის საკითხებში Tavi, Rouen, France. სამეცნიერო კვლევის შედეგები პერიოდულ გამოცემებშია გამოქვეყნებული და მოხსენებულია საერთაშორისო სამედიცინო ფორუმებზე.

**სემიონ რიჯინაშვილი Semion Rijnashvili** - 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის პიროგოვის სახ. კვლევითი ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა სამეცნიერო კვლევითი სამუშაოთი. ინტერნატურა გაიარა სპეციალობით მეანობა და გინეკოლოგია. ორდინატურა წარჩინებით სერტინოვის სახ. პირველ სამედიცინო უნივერსიტეტში გაიარა. სერტიფიცირების სასწავლო კურსები მეან-



გინეკოლოგიაში: ულტრაბგერითი გამოკვლევა „მეანობა და გინეკოლოგია“. გულმკერდის და მუცლის ღრუს ენდოვიდეოქირურგია, მენჯის და რეტროპერიტონიალური არის (ლაპაროსკოპიული, ჰისტეროსკოპია). უმაღლესი კატეგორიის კვალიფიციური ექიმი 35 წლის სტაჟით მუშაობდა მოსკოვის მე-2 სამშობიარო სახლში მთავარი ექიმის მოადგილედ, სადაც დანერგა ლაპაროსკოპიული მეთოდიკა. მე-5 სამშობიარო სახლში გინეკოლოგიის განყოფილების გამგედ და მონაწილეობდა კლინიკის ბაზაზე კერძო სამშობიარო სახლის შექმნის პროექტში. 2014 წელს მოსკოვის რეპროდუქციის და გენეტიკის ცენტრის „ФертиМед“ მთავარი ექიმი და კლინიკის დირექტორი გახლავთ. კლინიკის ბაზაზე სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი, ადამიანის რეპროდუქციის და ემბრიოლოგიის ევროპული საზოგადოების (ESHRE), ASRM - ამერიკის რეპროდუქციული მედიცინის საზოგადოების აქტიური წევრია. სამკურნალო პრეპარატების კლინიკურ გამოკვლევებში მონაწილეობს. სიომას ბაბუა - ცნობილი მეან-გინეკოლოგი, მიხა ფიჩხაძე, მეორე სამამულო ომში, 5 წელი ქირურგად მსახურობდა და დაბრუნდა სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდებით. **დავით სარიდი David Sarid (სარიშვილი)** - ისრაელის წამყვანი ონკოლოგი, იხილოვის საავადმყოფოში ონკოლოგიური განყოფილების უფროსი ექიმი, საშარდე გზების სიმსივნეების სამსახურის ხელმძღვანელი, ბოლო 4 წელი კი სრულიად ისრაელის ონკოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი საშარდე გზების სიმსივნეების დარგში. 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. თავიდანვე დაინტერესდა სამეცნიერო კვლევით. მუშაობდა თბილისის ერთ-ერთი წამყვან საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში. 1996 წელს ისრაელში ამოვიდა და ამავე წელს დაიცვა ისრაელის ექიმთა ლიცენზია. შემდგომში დახელოვნდა იხილოვის საავადმყოფოში და წარჩინებით გაიარა საკვალიფიკაციო გამოცდები ონკოლოგია-რადიოთერაპიის განხრით. ამ პერიოდში მიენიჭა ექიმ-ონკოლოგის უმაღლესი კატეგორიის წოდება. 2003 წ. გაიარა პროსტატის სიმსივნეების მკურნალობის ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსი. 2002-2020 წლებში ინტენსიურად ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევას. მათი უმრავლესობა თირკმლის, შარდის ბუშტის, პროსტატის სიმსივნეთი დაავადებულ პაციენტებში. გამოქვეყნებული აქვს 30 -ზე მეტი სამეცნიერო სტატია კლინიკურ ონკოლოგიაში და მოხსენებული აქვს მრავალი პრეზენტაცია უროლოგიურ ონკოლოგიაში საერთაშორისო ფორუმებზე. დავით სარიდი ხელმძღვანელობს თანამედროვე, ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას ახალი სამკურნალო ონკოლოგიური პრეპარატების განვითარების დარგში. მრავალი წამყვანი ფარმაცევტიული კომპანიების სამედიცინო კონსულტანტი ბრძანდება. ფართო პედაგოგიური გამოცდილება გააჩნია: თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ლექტორი და კლინიკური ინსტრუქტორი. მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრია: ISCOORT; ASCO, ESMO; IMA. 2017 წლიდან ხელმძღვანელობს ისრაელის ონკოლოგთა საზოგადოების (ISCOORT-ს) ურო-ონკოლოგიურ ჯგუფს. მსგავსი ნიჭიერება, ნებისყოფა, სწრაფა მიზნის მისაღწევად, პროფესიული ინტელექტი, დამკვიდრება დასტაქართა საზოგადოებაში არის მტკიცება გენეტიკური მემსეერებისა, რათა დავით სარიდი ექიმთა ოჯახში მესამე თაობა გახლავთ.

**ვლადიმირ (ვოვა) კაკიტელაშვილი Vladimir Kakitelashvili** - მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1986 წ.). რეზიდენტურა უროლოგიის ინსტიტუტში გაიარა და სამეცნიერო კვლევის შედეგები 1991 წ. წარადგინა სადისერტაციო ნაშრომში თემაზე: „თირკმლის ჰიპერტენზიით დაავადებულ პაციენტების მკურნალობა პროსტატაგლანდინებით. პროგნოზული მნიშვნელობა.“ დააპატენტა ახალი გამოგონება „რენოვასკულარული არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზის მეთოდი“.

1994 წელს აშშ-ში გადადის და აგრძელებს რეზიდენტურას ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის უროლოგიის კათედრაზე შარდის ბუშტის კვლევით ლაბორატორიაში. შემდეგი ეტაპი რეზიდენტურა ქირურგიულ განყოფილებაში Union Memorial Hospital - ში. 1997-2002 წწ. რეზიდენტურა ზოგადი ქირურგიის და უროლოგიაში Omaha, University Nebraska. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ნეფროლოგიაში. დიდი გამოხმაურება და მაღალი შეფასება მიიღო Quebec, Canada მოხსენებამ „პირველადი ჰიპოსპადიის ანომალური წარმოქმნის ერთეულოვანი აღგენა“. 2002 წლიდან კერძო პრაქტიკას ეწევა მერილენდის შტატში. აქტიური წევრი გახლავთ სრულიად ამერიკის უროლოგიის ასოციაციის და კერძოდ, შუა ატლანტიკური განყოფილებისა. ებრაელთა განსაკუთრებული ლტოლვისა სამედიცინო მეცნიერების შესწავლისა და დაუფლებიანადმი, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტის დასტურია ვლადიმირ კაკიტელაშვილის ოჯახი. ჯერ კიდევ 1908 წელს, ბაზელში, ვოვას ბაბუამ, ბენიამინ კაკიტელაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ხელოვნური ნაადრევი მშობიარობა“, ბებია - კლარა კომონზერ-კაკიტელაშვილი (1893-1968) ექიმი სტომატოლოგი ბრძანდებოდა.

**გაბი შემეშ Gabi Shemesh (შიმშელაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1978-1984) კურსდამთავრებული, სპეციალიზაციას ოფთალმოლოგიაში (თვალის მიკროქირურგიაში) მოსკოვში აგრძელებს (1988), იცავს დისერტაციას, ენიჭება PhD ხარისხი. სტაჟირება 1994-1997 წ. თელ-ავივში სამედიცინო ცენტრში სპეციალიზაციით ოფთალმოლოგია და უწყვეტი განათლების გაგრძელება თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. კლინიკური გამოცდილება: 1997- 2016 უფროსი ოფთალმოლოგი სამედიცინო ცენტრი, თელ-ავივი. ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურების სხვადასხვა სალაროთა ოფთალმოლოგი. 1998 წლიდან რეფრაქციის ოპერაციების დამოუკიდებელი ოფთალმოლოგი "თვალი", ფილიალი თელ-ავივში. 2007 წ. - დამოუკიდებელი ოფთალმოლოგი, გლაუკომით დაავადებულ პაციენტთა კონსულტანტი „მაკაბის“ მომსახურებისა. 2011 წლიდან კერძო პრაქტიკა ქირურგიულ ოფთალმოლოგიაში. აქტიური წევრი გახლავთ ისრაელის ასოციაცია Ophthalmologists, ასოციაცია რეფრაქციული ქირურგია, გლაუკომის ასოციაცია და ESCRS - ევროპული ასოციაციის Ophthalmologists.

**ნანა აივაზი Nana Aivazi (აივაზაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა 1985 წელს. Lenox Hill საავადმყოფოში რეზიდენტურა დაასრულა. იგი ამჟამად ლიცენზირებული მედიცინის მუშაკი არის ნიუ იორკში. შინაგან დაავადებათა მკურნალი ექიმი ბრუკლინში, ასოცირებულია NYC ჯანდაცვის სფეროს საავადმყოფოებში: Kings County, NYU Langone Health—Brooklyn, and NYC Health + Hospitals / Coney Island.

**ცისანა შამლიკაშვილი Tsisana Shamlikashvili** - მედიაციის და სამართლის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცენტრის პრეზიდენტი, რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის გაერთიანებული მედიაციის სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალის "მედიაცია და სამართალი. მედიაცია და შერიგება" მთავარი რედაქტორი. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1986). შემდეგ სწავლობდა და მუშაობდა პირველ სეჩენოვის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში, ნერვული დაავადებების განყოფილებაში, სადაც მან მიიღო სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (1990). შემდგომ იურიდიული და ფსიქოლოგიური განათლება (2003). შეისწავლის საზოგადოების გავლენის საკითხებს პიროვნების ფორმირებასა და განვითარებაზე. 2004 წლიდან სწავლობდა მედიაციას საზღვარგარეთ (მათ შორის გერმანიაში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში) საერთაშორისო აღიარებულ სკოლებში, როგორცაა ჰარვარდის სამართლის სკოლა;

დაასრულა სასწავლო პროგრამა წყლის დიპლომატიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის (MIT და Tufts University, აშშ). არის მედიკოსი, რომელიც ეხება სადავო საკითხების ფართო სპექტრს: რთული ტრანსსასაზღვრო კომერციული დავებიდან დაწყებული საოჯახო დავამდე, მემკვიდრეობის დავებზე, ფინანსურ და სადაზღვევო სფეროებში დავა, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტები და ა.შ. პროფესორმა შამლიკაშვილმა დააფუძნა და ჩამოაყალიბა საკუთარი მედიაციის და სამართლის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცენტრი. 2012 წ. დასახელდა რუსეთში ათი ყველაზე გავლენიანი იურისტთაგან, მედიაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქვეყანაში მედიაციის პრაქტიკის გავრცელების იურიდიული სამსახურის ჩამოყალიბებაში. საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტი ალტერნატიული დავის გადაწყვეტის სფეროში (ADR), საერთაშორისო შუამავალი, იურისტი, ფსიქოლოგი, ნეიროპათოლოგი; პროფესორი და მედიაციის განყოფილების ხელმძღვანელი მოსკოვის სახელმწიფო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური უნივერსიტეტის სოციალურ სფეროში, ამავე სახელწოდების სამაგისტრო პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი, მედიაციის ფედერალური ინსტიტუტის და მოსკოვის სახელმწიფო სამართლის აკადემიაში იურიდიული პრაქტიკის სამეცნიერო ხელმძღვანელი. მრავალი სამეცნიერო სტატიისა და არაერთი წიგნის ავტორი მედიაციის სფეროში, დავების მოგვარების ალტერნატიული მეთოდების, სამართლის, ფსიქოლოგიის საკითხებში.

**ლელა მიგროვი Lela Migirov** - წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი ქალაქ ნალჩიკში. პროფესორი მიგროვი სტაჟირებას მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან საავადმყოფოში გადიოდა ყურის ოპერაციების დახელოვნებაში, მათ შორის კლინიკა Los Angeles, Inselspital ბერნში, შვეიცარია, Portman Institut Bordeaux და Fondation Adolf de Rothschild პარიზში და უნივერსიტეტის საავადმყოფო Modena, იტალია. მან შეიმუშავა Otorhinolaryngology -ის სფეროში საოპერაციო ჩარევის მეთოდები და მსახურობს ტელ-აშომერის საავადმყოფოში ყელ-ყურ-ცხვირის და თავის ქირურგიულ განყოფილებაში. პროფესორი მიგროვი მიწვეულია ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორად. წევრია IWGEES (საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის ენდოსკოპიური ყურის ქირურგია). მას იწვევენ ენდოსკოპიური ქირურგიის ოპერაციების მასტერ კლასზე მრავალ ქვეყანაში. კვლევითი საქმიანობით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დიაგნოსტიკას, პარტნიორია განვითარებადი ინოვაციური მეთოდების იმპლანტაციის განხრით. მეთოდი წარმოდგენილია კონფერენციების და სემინარების მსვლელობაში ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, პოპულარული გახდა ათობით ცენტრში გადანერგვის cochlear implant ევროპაში, არგენტინა, ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სტატია. კოორდინირებას უწევს პროფესიის უწყვეტი განათლების პროგრამების EEG-ში.

**ზაზა იაკობიშვილი Zaza Iakobishvili** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1987). სადისერტაციო მასალა თბილისის სახელმწიფო ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის კვლევით ბაზაზე დაამუშავა 1992-1995წწ.) თემაზე: „Atrial Natriuretic Peptide Binding to Slow Calcium Channels in Plasma of Patients with Congestive Heart Failure“. 1996 წელს ისრაელში ამოსვლისთანავე დაასრულა რეზიდენტურა შინაგან მედიცინაში; შემდგომ კარდიოლოგიურ დეპარტამენტში, რაბინის სამედიცინო ცენტრში წარმატებით გაიარა საბჭოს სასერტიფიკაციო გამოცდები კარდიოლოგიაში ( 2001 წ). მუშაობდა გულის ინტენსიური თერაპიის

განყოფილებაში(2002 – 2009), იგი დაინიშნა გადაუდებელი კარდიოლოგიური სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ზაზა იაკობიშვილი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში თელ-ავივის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე, არაერთხელ დასახელდა "საუკეთესო ტიუტორ"ად. სამეცნიერო კვლევა: ავტორი და თანაავტორი 140-ზე მეტი პუბლიკაციის, რომელიც გამოქვეყნდა რეცენზირებად ჟურნალებში: Am Heart J, Am J Cardiol, Int J Cardiol., სახელმძღვანელო წიგნებში თავების თანაავტორი კარდიოგენური შოკის დიაგნოსტიკის, ეპიდემიოლოგიის და რისკის ფაქტორების საკითხებში ევროპის (2010) და ამერიკის (2011) კარდიოლოგთა საზოგადოებათა პუბლიკაციებში, რომელიც სამედიცინო კლინიკებში ისწავლება და ინერგება. სამეცნიერო კვლევის ინტერეს მოიცავს: კარდიოგენული შოკი, მწვავე კორონარული სინდრომი და გულის უკმარისობა, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა, გულის ბიომარკერები, კარდიო-ონკოლოგია. ხელმძღვანელობს სტუდენტთა და ექიმთა საკვალიფიკაციო კვლევას. მასალებს წარმოადგენს საერთაშორისო სამედიცინო შეხვედრებზე ESC 2007, აქტიურად მონაწილეობს ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების ასოციაციის სამუშაო ჯგუფის ხარისხის ამალღებაში. თავის კვლევებთან ერთად აპირებს შექმნას ისრაელის ფილიალი კარდიო-ონკოლოგიაში, საერთაშორისო CardioOncology საზოგადოებასთან ერთად (ICOs).

**ნიკო მანაშეროვი Nikolai Menasherov** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1986 წ.) კურსდამთავრებული. კლინიკური რეზიდენტურა თბილისის N4 საავადმყოფოში გაიარა ზოგად ქირურგიაში. 1993წ. წარადგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი "ნაწლავის გამორეცხვა მაგნეტიტის სუსპენზიით ნაწლავის მწვავე ობსტრუქციის მკურნალობაში (ექსპერიმენტული კვლევა)" და PhD ხარისხი მიენიჭა. 1995 წ. ისრაელში მიიღო ქირურგი-ოპერატორის ლიცენზია და რეზიდენტურა Rabin Medical Center, Beilinson გააგრძელა. 2003-04 წწ. Upper GI Surgery at Adelaide University Department of Surgery, Adelaide, Australia განაგრძობს კვალიფიკაციის ამალღებას. 1998-2014 წწ. ისრაელის დაცვის სამხედრო სამსახურში ქირურგად მუშაობდა. 2014 წლიდან საყლაპავის, კუჭ-ნაწლავის ქირურგიის სამსახურის უფროსია ქირურგიის განყოფილებაში, რაბინის სამედიცინო ცენტრში, ბეილინსონის საავადმყოფოში. 2017 წლიდან ბეილინსონის საავადმყოფოს რაბინის სამედიცინო ცენტრის ქირურგიის განყოფილების უფროსის მოადგილე. მაღალკვალიფიციური დოქტორი მანაშეროვი არის ზოგადი ქირურგიის სპეციალისტი და მისი ინტერესების სფერო მოიცავს - კუჭ-ნაწლავის სისტემის პრობლემები, საყლაპავის და კუჭის სიმსივნე, მსხვილი ნაწლავის, წვრილი ნაწლავის თიაქარი, ნაღვლის სადინარის, ჰემოროის და ანალური ნაპრალების მკურნალობა, მათ შორის ინვაზიური ტექნიკის გამოყენებით. თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ინსტრუქტორია, არა ერთხელ დასახელებულია წარჩინებულად.

**ზაზა აივაზი Zaza Aivazi (აივაზაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული კარდიოლოგი, რომელსაც 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. სპეციალიზირებულია გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის დაავადებათა და ბირთვულ კარდიოლოგიაში, რომელიც იყენებს არაინვაზიურ ტექნიკას გულის სისხლის ნაკადის და სატუმბი მოქმედების შესაფასებლად, გულის შეტევის ზომისა და ადგილმდებარეობის ვიზუალიზაციის ჩათვლით. თანამდებობა: კლინიკური ინსტრუქტორი სპეციალობით კარდიოლოგია The Mount Sinai Hospital, ნიუ იორკი.

**აბრამ (ამირან) ჩაჩაშვილი Avraham Chachashvili** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1993 წ.). სტაჟირება და სპეციალიზაცია უროლოგიაში გაიარა Asaf-A-Rofe სამედიცინო ცენტრში. 2007 წ. ქვე-

სპეციალიზაცია - ერექციის დისფუნქცია, ამ სფეროში ხელმძღვანელობს სამკურნალო ცენტრს Asaf-A-Rofe საავადმყოფოში. ამბულატორიული საოპერაციო ოთახის დირექტორი და უროლოგიის განყოფილების უფროსი ექიმია ამავე ცენტრში. უროლოგ კონსულტანტად მუშაობს Shmuel Harofeh კლინიკაში. აწარმოებს ოპერაციებს პენისის სკოლიოზის კორექცია, პროსტატა და სათესლე ჯირკვლების დაავადებანი, თირკმელების და საშარდე ბუშტის დისფუნქციის აღსადგენად. კერძო პრაქტიკას აწარმოებს უროლოგიის სფეროში.

**ნუგზარ რიჯინი Nugzar Rijini (რიჯინაშვილი)** - სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა (1992 წ.). ამოდის ისრაელში პირველივე ცდით აბარებს გამოცდას. სტაჟირება გაიარა Wolfson საავადმყოფოში. 1999 წლიდან - Wolfson ანესთეზიოლოგიის განყოფილების თანამშრომელია, 2006 წლიდან ამავე დეპარტამენტში უფროსი ექიმი, 2016 წ. - განყოფილების გამგის მოადგილე და 2018 წლიდან - ანესთეზიოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს. კლინიკური პრაქტიკის ინტერესი: ბავშვთა და მოზარდთა კარდიოქირურგიული; ნაადრევად დაბადებული თოთო ბავშვების; ზოგად ქირურგიული; სისხლძარღვთა ქირურგიის; ორთოპედიული ქირურგიის, მათ შორის ხერხემლის ოპერაციის ანესტეზია; კომპლექსური პაციენტების მკურნალობა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, მათი მოვლა და აღდგენა. დიდ ყურადღებას უფლობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სტომატოლოგიურ მკურნალობას, გულის ოპერაციები ბავშვებში და ბავშვთა გულის კათეტერიზაციას. ამ საპატიო მისიის შესასრულებლად მოხალისეთ მიეგმზავრება ტანზანია, ეთიოპია და რუმინეთში: მგზავრობს დელეგაციაში განვითარებად ქვეყნებში. გამოცდილი ანესთეზიოლოგი მიწვეულია თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ტრენინგების და კურსების ჩასატარებლად, მათ შორის ACLS კურსის ინსტრუქტორია. ჩართულია საგამოცდო საბჭოში ანესთეზიოლოგიის სპეციალიზაციით. ისრაელის ანესთეზიოლოგთა საზოგადოების წევრია.

**იოსებ დანიელი Joseph Danieli (დანიელაშვილი)** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული (წარჩინებით) (1988-1993) M.D.. ისრაელში M.H.A - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემის ადმინისტრირება, ბარ ილანის უნივერსიტეტში (2011-2013). დოქტორ დანიელმა დაასრულა რეზიდენტურა პედიატრიაში საფრას სახ.ბავშვთა საავადმყოფოში, სპეციალობით ბავშვთა კარდიოლოგიაში. 2001 წ. თელ-აშომერის საავადმყოფოს - ბავშვთა და 2005 წლიდან ბავშვთა კარდიოლოგიაში მსახურობს. არა ერთი საკვალიფიკაციო სტაჟირება გაიარა საუკეთესო კლინიკებში, მათ შორის რეზიდენტურა კათეტერიზაციის ლაბორატორიაში, Hospital of Sick kids, Toronto, კანადა; სპეციალობით ინტერვენციული კარდიოლოგია Marie Lannelongue Center, საფრანგეთი. (2008-2017 წ.) ნაყოფის ექოკარდიოგრაფიის, ინტერვენციული კარდიოლოგიის, გულის თანდაყოლილი დაავადებათა ცენტრის დირექტორი. შემდგომში ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობა, ჯანდაცვის სადაზღვევო მომსახურება სხვადასხვა ფონდში უფროსი კარდიოლოგის სტატუსით. 2018 წ. დაინიშნა მაკაბის სამედიცინო მომსახურების დირექტორად. აქვს სრული დატვირთვა აკადემიური სამედიცინო განათლების სფეროში. სტუდენტების სამაგისტრო პროგრამის კომიტეტის წევრი, ასწავლის ასპირანტურაში პროგრამებს პედიატრიაში, საერთაშორისო სამედიცინო პერსონალის დახელოვნების (ექთნები, ექო ტექნიკოსები, სამედიცინო სტუდენტები და ექიმები) პროგრამებში არის ჩართული. ისრაელის და მრავალ საერთაშორისო პროფესიონალურ სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი გახლავთ.

**ხავა როზენ Hava Rozen (ხათუნა რიჯინაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1988-1994) კურსდამთავრებული. შიბას სამედიცინო ცენტრში,

ნეონათოლოგიის განყოფილების ექიმი, ედმონდ და ლილი საფრას სახ. ბავშთა საავადმყოფოში მუშაობდა. აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში თელ-ავივის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. სადოქტორო ხარისხი ვაიცმანის სახ. ინსტიტუტში, იმუნოლოგიის დეპარტამენტში დაიცვა. პოსტდოქტორანტული კვლევა განაგებო Department of Stem Cell Transplantation and Cell Therapy, MD Anderson Cancer Center, Houston, TX, USA. ავტორია მრავალი სამეცნიერ კვლევათა შედეგების პუბლიკაციების.

**დავით კაკიაშვილი David Kakiashvili** - საქართველოში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. დოქტორმა კაკიაშვილმა დაასრულა უროლოგიაში ტრენინგი 2006 წელს რამბამის საავადმყოფოში, ისრაელი. კვლევას აგრძელებს Houston, Texas სამედიცინო კოლეჯში; შემდგომ უროლოგიური ონკოლოგია და ინვაზიური ქირურგიის განხრით ტორონტოს უნივერსიტეტში, კანადა. გარდა ამისა, იგი არის საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი რობოტიკაში. ამ სფეროში ექსპერტი გახლავს, რაც მოიცავს რობოტიკულ ოპერაციებს პროსტატის ჯირკვალზე, თირკმლის სიმსივნეების ამოკვეთას, კომპლექსურ რეკონსტრუქციულ ქირურგიას შარდის ბუშტის კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში, რეტროპერიტონეალურ ოპერაციებს სათესლის კიბოს მეტასტაზური ფორმის დროს და თირკმელზედა სიმსივნეებით დაავადებულ პაციენტებში. კვლევასა და აკადემიურ საქმიანობას განაგობს ონკო-უროლოგიაში და ახალი ქირურგიული ტექნოლოგიების დანერგვაში მენტორია. 2018 წ. დანიშნულია ჰილელ იაფეს საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგედ.

**იონა ქოსაშვილი Yona Kosashvili** - კლინიკური ასოცირებული პროფესორი ორთოპედიულ ქირურგიაში (2014 წ.) თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სპეციალიზირდება ორთოპედიულ ქირურგიაში Assaf Harofeh სამედიცინო ცენტრში. სამი წლის განმავლობაში კანადაში Toronto, Mount Sinai Hospital-ში და Sunnybrook Health Science Centre აგრძელებს სწავლას და ეუფლება სახსრების ენდოპროტეზირებას. 2006 წ. ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ჯანდაცვის მართვის სისტემების ხარისხი M.H.A. ორთოპედიული ქირურგიის პროფესორი თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ეწევა მრავალრიცხოვან კვლევებს და ლექტორი გახლავთ ისრაელში და მის ფარგლებს გარეთ. გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია ორთოპედიის სფეროში. American Association of Orthopedic Surgeons წევრია. პროფესორი იონა ქოსაშვილი ხელმძღვანელობს ორთოპედიულ დეპარტამენტს Kaplan Medical Center, ატარებს ოპერაციებს კერძო საავადმყოფოებში Assuta და Herzliya Medical Center. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არ უთამაშია პროფესიული ჭადრაკი, 1995 წელს მოიპოვა 34 ადგილი მსოფლიოში. მან ორჯერ მოიპოვა პირველი ადგილი ჩემპიონატში ისრაელში და წარმოდგენილია მონაწილედ ეროვნულ ნაკრებში საჭადრაკო ოლიმპიადებში.

**შავთაი საპირი Shabtai Sapir (სეფიაშვილი)** - ბოსტონის უნივერსიტეტის კლინიკური ასისტენტ-პროფესორი პედიატრიულ სტომატოლოგიაში, ბრძანდება Hebrew University-Hadassah Faculty of Dental Medicine კურსდამთავრებული (1992 წ.). 1995 წელს ისრაელში ლიცენზირებული სტომატოლოგი, 2001 წ. პოსტ-სწავლებას აგრძელებს და ენიჭება აკადემიური ხარისხი - სტომატოლოგიის დოქტორი. მოღვაწეობს სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, როგორც პრე-დოქტორანტური, პედიატრიული და ორთოდონტიული პროგრამების კლინიკური ინსტრუქტორი. ამ პერიოდში მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული, რომელიც ეძღვნება რესპირატორული საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებას და მკურნალობას პედიატრიულ სტომატოლოგიურ კლინიკებში, გადაუდებელი და საგანგებო ალტერნატიულ რეკომენდაციებს ფრენის დროს, კერძო

შემთხვევები და ლიტერატურის მიმოხილვა, მენინგოკოკური სეპტიცემია და სტომატოლოგიური გართულებები. აღსანიშნავია (2002-2006 წწ.) მონაწილეობა JOINT ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს და პედიატრიული სტომატოლოგიის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ვოლუნტარულ პროექტში ეთიოპელი ბავშვების სამკურნალოდ. ხშირად გახლავთ დაჯილდოებული, როგორც გამორჩეული რეზიდენტი, საუკეთესო ტიუტორი, წარჩინებული ლექტორი. 2007-2012 წწ. ისრაელის სტომატოლოგიური საბჭოს ექსპერტი, 2015 წ. Rutgers School of Dental Medicine, Newark, NJ ინტერნაციონალურ პროგრამაში ჩართული. 2020 წ. ბოსტონის უნივერსიტეტის ბავშვთა სტომატოლოგიური კათედრის წლის მასწავლებლად არის არჩეული; აღდგენითი სტომატოლოგიის სფეროში ბრწყინვალეების ჯილდო მიენიჭა. პროფესორი შავთაი საპირი ბრძანდება პროფესიონალური ასოციაციების: American Dental Association, American Academy of Pediatric Dentistry, Massachusetts Dental Association აქტიური წევრი.

**ტიმა დევიდსონ Tima Davidson (დავითიაშვილი)** - ტელ-აშომერის სამედიცინო ცენტრის PET-CT განყოფილების დირექტორი, ექსპერტი ბირთვული მედიცინის და დიაგნოსტიკური რადიოლოგიის დარგში, რომელიც მოიცავს X-ray, CT, MRI. 2015 წლიდან ბირთვული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ჰიბრიდულ გამოსახულებათა გაშიფრაში. ასწავლის თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ექიმთა დახელოვნების განყოფილებაში და სტუდენტებს სპეციალობას „დიაგნოსტიკური რადიოლოგია“. მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. 30-მდე პუბლიკაციის ავტორი გახლავთ.

**ელი კაკიაშვილი Eli Kakiashvili** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ამოდის ისრაელში. მას ბევრი მუშაობა დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა, რომ საქართველოდან ამოსული დასტაქარი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ადგილობრივ სპეციალისტებს. ორდინატურა ქირურგიის განხრით რამბამის საავადმყოფოში გაიარა. 2006 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად კანადაში გაემგზავრა: ტორონტოს უნივერსიტეტში ატარებდა სამეცნიერო კვლევას მოლეკულურ ბიოლოგიაში, შემდეგ მონრეალის უნივერსიტეტი - საბოლოო ჯამში 6 წელი დაჰყო კანადაში. 2012 წელს ისრაელში რამბამის საავადმყოფოში ონკოლოგიური ქირურგიის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. 2016 წლიდან ნაჰარიის საავადმყოფოში ქირურგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს და პარალელურად პასუხისმგებლობა მოემატა - ზრუნვა ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციურ ზრდაზე, მათ წარმატებებზე და საზღვარგარეთ სიახლეების დაუფლებაზე. ამ მიზნების განხორციელებაში მას არსებული ძალზედ მჭიდრო კავშირები დაეხმარა მსოფლიოს წამყვან სამედიცინო წრეებთან. წინა კაცი ხომ უკანა კაცის ხიდია.

**სიმონ მაწკეპლიშვილი Simon Matskeplishvili** - მეცნიერი-კარდიოლოგი, უმაღლესი კატეგორიის პრაქტიკოსი ექიმი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი არის კიდევ ერთი გამაგრძელებელი შესანიშნავ დასტაქართა დინასტიისა. დაამთავრა სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო აკადემია (1994 წ.). სტაჟირება საზღვარგარეთ: იტალიაში (Pisa 1996-98წ.) და აშშ-ში (ჰარვარდის სამედიცინო სკოლაში, 1999) გაიარა. 1999 წელს რუსეთში დაბრუნდა, დაიცვა დისერტაცია თემაზე: “არაინვაზიური მეთოდების დიაგნოსტიკური მნიშვნელობა კორონარული და პერიფერიული მიმოქცევის შესწავლის მიზნით, მრავალფოკალურ ათეროსკლეროზულ პაციენტებში“. 2003 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ”სტრეს-ექოკარდიოგრაფია გულის კორონარული დაავადებების დიაგნოზირებაში, პროგნოზის დადგენა, ქირურგიული და ენდოვასკულარული მკურნალობის შედეგების შეფასება“. 2007 წელს მას მიენიჭა

პროფესორის აკადემიური წოდება. 2016 წლიდან - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევებისა და განათლების ცენტრის მთავარი მკვლევარი, აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის წევრ-კორად ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებაში. 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 13 მონოგრაფია, 1 პრაქტიკული სახელმძღვანელო, 1 სახელმძღვანელო და 2 პატენტი. მონაწილეობდა უნიკალური სარქველის შემუშავებაში, რომელიც დამონტაჟებულია გულში გულმკერდის არხის გახსნის გარეშე, ბარდაყის არტერიაში ჩასმული სპეციალური კათეტერის მეშვეობით. ასეთი სარქველის გადანივრება შესაძლებელია ჩვეულებრივ ქირურგიულ განყოფილებაში, მას არ აქვს შეზღუდვები, ეფუძნება ინოვაციურ ბიოპოლიმერს, რომელიც ასევე შეიქმნა სიმონ მაწკეპლიშვილის მონაწილეობით. სამედიცინო პრაქტიკის და სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, ის ასწავლის კურსებს „XXI საუკუნის კარდიოლოგია. - სამგანზომილებიანი დიაგნოზიდან უჯრედულ ტექნოლოგიებამდე“, “საოცარი კარდიოლოგია”. მონაწილეობდა ახალგაზრდა კარდიოლოგთა კონკურსების ორგანიზებაში. არის ჟურნალ "კარდიოლოგია: ახალი ამბები, მოსაზრებები, ტრენინგი" რედაქციის წევრი. აშუქებს მედიაში კარდიოლოგიის და ზოგადად მედიცინის პრობლემებს.

**მეგი თეთროქალაშილი Maggie Tetrokashvili** - ხელმძღვანელობს მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტს Nassau University Medical Center. წარჩინებით დაამთავრა სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო აკადემია (1995 წ.), იქვე გაიარა ინტერნატურა გინეკოლოგიის განხრით. 2002 წ. რეზიდენტურის საუკეთესო კვლევითი პროექტისათვის სერტიფიკატის მფლობელია მიან-გინეკოლოგიის დეპარტამენტში Mount Sinai School of Medicine and Albert Einstein College of Medicine. 2012 წ. Association of Professors of Gynecology and Obstetrics (APGO) კურსდამთავრებულია. 2018 წ. დასახელებული გახლდათ ამერიკის მიან-გინეკოლოგთა Top Doctors. აკადემიური პოზიცია აქვს Clinical Professor American University of Caribbean School of Medicine, New York College of Osteopathic Medicine, Assistant Professor Stony Brook University School of Medicine. თავმჯდომარე გახლავთ მიან-გინეკოლოგიაში რეზიდენტთა საგამოცდო პროგრამის ნასაუს უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში. ექიმთა დახელოვნების მრავალი სტადია გაიარა და პროფესიონალურ საზოგადოებათა წევრია, მათ შორის Association of Professors of Gynecology and Obstetrics, American College of Obstetricians and Gynecologists, American Society of Reproductive Medicine, American Association of Gynecologic Laparoscopists, American College of Surgeons. ამ პროფესიონალურ დატვირთვას წარმატებით უთავსებს სამეცნიერო კვლევას. ავტორი გახლავთ მრავალი პუბლიკაციისა. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.

**მოშე შემეშ Moshe Shemesh (შიმშელაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1995 წ.), სტაჟირება გაიარა კლინიკური და ექსპერიმენტალური ნეიროქირურგიის ინსტიტუტში მიკრო ნეიროქირურგიის განყოფილებაში. ორდინატურა განაგრძო სისხლმარღვთა ქირურგიის განყოფილებაში და დაიცვა საკვალიფიკაციო დისერტაცია PhD პროფ. გივი წიწუაშვილის ხელმძღვანელობით თემაზე: „Takayasu დაავადებით გამოწვეული Brachio-Vertebro-Bazilar დაქვეითების ქირურგიული მკურნალობა“ (2000 წ.). ისრაელში ამოსვლის შემდეგ იხილოვის სამედიცინო ცენტრის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში ჩართულია კვლევაში: „მულტიდისციპლინარული პრობლემა: ნეკნის რეზექციის გარეშე მიკროქირურგიული ჩარევით გულმკერდის განყოფილების სინდრომის მკურნალობის პერსპექტივა“. ამავე პერიოდში მიწვეულია კაპლანის და ტელ-ა-შომერის საავადმყოფოში კურსი „ნეიროქირურგია“ ლექტორად. ბარ-ილანის უნივერსიტეტში მულტიდისციპლინარული



თავის ტვინის კვლევის ცენტრში პოსტდოქტორანტის პოზიციაზე სამეცნიერო გამოკვლევას ეწევა თემაზე: „Compositionality: Neuronal basis for complex behavior“. ბერ-შევის სოროკას საავადმყოფოში ნეიროქირურგიულ დეპარტამენტში სამსახურის შემდეგ გახსნა ესთეტიკური მედიცინის კერძო კლინიკა. გამოქვეყნებული აქვს 40მდე სამეცნიერო სტატია.

**მიხაილ პეერ Michael Peer (პაპიაშვილი)** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1995). ტორაკალური ქირურგი-ონკოლოგი სპეციალიზირდება ტოროსკოპიაში (სადიაგნოსტიკო და სამკურნალო), გულმკერდის, პლევრის და ფილტვის პათოლოგიის, ფილტვის კიბოს, ფილტვის ტუბერკულოზის მძიმე ფორმის ქირურგიულ მკურნალობაზე. გულმკერდის ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი Asaf-A-Rofe-ს სამედიცინო ცენტრში. ქირურგი ოპერაციებს ატარებს საავადმყოფო "Assuta"ში. წევრია ისრაელის და ამერიკის ექიმთა პროფესიული ასოციაციების გულმკერდის ქირურგიის სფეროში, ენდოსკოპიური გულმკერდის ქირურგიის საერთაშორისო ასოციაციის, წერს მიმოხილვებს ამ ორგანიზაციაში. სტაჟირება გაიარა ხაიმ შიბას და Asaf-A-Rofe სამედიცინო ცენტრებში ისრაელში, სპეციალიზაცია ლოს-ანჯელესში საავადმყოფო "Cedars Sinai" ფილტვის კიბოს ინვაზიური ქირურგიული მკურნალობის სფეროში.

მაღალკვალიფიცირებული ქირურგი არის ორგანოს შენარჩუნების ოპერაციების უნიკალური მეთოდის ავტორი, ნებისმიერი სირთულის ოპერაციების ბრწყინვალედ შემსრულებელი. გარდა ძირითადი კლინიკური პრაქტიკის მიხედვით პაპიაშვილი ჩართულია მეცნიერებაში, წარმატებით ახორციელებს კვლევებს გულმკერდის ქირურგიის სფეროში; არის ავტორი მრავალი სტატიისა, რომელიც გამოქვეყნდა ცნობილ საერთაშორისო პროფესიულ ჟურნალებში. რეგულარული სპიკერი გახლავთ სამედიცინო საერთაშორისო ფორუმებზე.

**ჯოზეფ ჩიკვაშვილი Joseph Chikvashvili** - დაამთავრა B.S. ხარისხი University of Maryland წარჩინებით 1996 წელს. დაასრულა სადოქტორო D.D.S. ხარისხი 2001 წელს University of Maryland, College of Dental Surgery, in Baltimore, Maryland. Chief Resident at Newark Beth Israel Medical Center მიენიჭა G.P.R. სწავლების დაასრულებისამებრ. ასპირანტურის ტრენინგი ენდოდონტიაში Boston University, Goldman School of Dental Medicine , სადაც მან მიიღო თავისი Certificate of Advanced Graduate Study (C.A.G.S.) 2005-2013 წწ., მან დაასრულა 2-წლიანი CDE კურსი იმპლანტოლოგიაში ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. არის Director of Endodontics at Newark Beth Israel Medical Center. ასევე იყო პრეზიდენტი Essex County Dental საზოგადოებაში 2012 წელს და არჩეულ იქნა ვიცე პრეზიდენტად NJ ენდოდონტისტთა ასოციაციაში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია სხვადასხვა ჟურნალებში: ენდოდონტიზმის კონსერვატიული მკურნალობის ალტერნატივა.

**რუთ საპირი-ფიჩხაძე Ruth Sapir-Picchadze** - ებრაული უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, MD (1993 – 2001) McGill უნივერსიტეტის სამედიცინო დეპარტამენტის (კანადა) ასოცირებული პროფესორი გახლავთ. ტორონტოს უნივერსიტეტში მაგისტრის (MSc) წოდება მიენიჭა ნეირომეცნიერების სფეროში (2002 – 2005). სწავლას და სამეცნიერო კვლევას აგრძელებს კლინიკურ ეპიდემიოლოგიაში და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ (Ph.D.) (2010 – 2014) სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. გადადის სამუშაოდ საუნივერსიტეტო RVH, Montreal, QC ცენტრში ნეფროლოგია და მრავალ ორგანოთა გადანერგვის პროგრამის ექიმ-კლინიცისტად. პარალელურად McGill უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ცენტრში კომპანია „თირკმლის დაავადებანი დაბადებიდან სრულწლოვანებამდე“ დირექტორთა საბჯოს წევრია. ექიმი - მეცნიერი კვლევას აგრძელებს მაკგილის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ცენტრში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (2015-2020). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო კვლევის შედეგები პრესტიჟულ გამოცემებში

და რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. ასოცირებული წევრია ეპიდემიოლოგიის დეპარტამენტის, კლინიკური პრაქტიკის შეფასების Unit (CPAU), მაკგილის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ცენტრის 2016 წლიდან დღემდე.

**გაი როზენი Guy Rozen** - წინაგულების ფიბრილაციის პროგრამის დირექტორი, წამყვანი კარდიოელექტროფიზიოლოგი კარდიოსტიმულაციის და ელექტროფიზიოლოგიის განყოფილებაში Baruch Padeh Medical Center, Poriya, დაინიშნა Hillel Jaffe-ს საავადმყოფოს გულის ელექტროფიზიოლოგიისა და კარდიოსტიმულაციის განყოფილების დირექტორად. ბენ-გურიონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული (2004 წ.), პარალელურად მედიცინის MD დოქტორის სტატუსთან ამთავრებს MHA - სამედიცინო სფეროში ადმინისტრირების პროგრამას. საკვალიფიკაციო თეზისი ეძღვნებოდა დისლიპიდემიის მკურნალობას. ინტერნატურა და რეზიდენტურა გაიარა Sheba Medical Center. 2014-17 წწ. ცოდნას იღრმავებს და მკურნალობის ახალ მეთოდოლოგიას ეუფლება Massachusetts General Hospital (MGH) Harvard Medical School, Boston, USA. ავტორი გახლავთ მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. ბარ-ილანის უნივერსიტეტში მრავალჯერ აღიარებულია წარჩინებულ ინსტრუქტორად. პროფესიონალურ საზოგადოებათა წევრია: European Heart Rhythm Association (EHRA), European Society of Cardiology (ESC), Israel Heart Society (IHS). ტიპიური წარმომადგენელი გახლავთ წარმატებულ დასტაქართა გენეტიკური მემკვიდრეობისა.

**სოფო დვირ-ფიჩხაძე Sopho Dvir-Picchadze** - 1992 წელს ამოვიდა ისრაელში, პროექტით Naale, მშობლების გარეშე. დაამთავრა საშუალო სკოლა და 1998 წელს დაიწყო სწავლა თელ-ავივის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. 2001 წელს დაამთავრა ფსიქოლოგიაში ბაკალავრიატი. 2003 წელს დაიწყო მაგისტრატურა კლინიკურ ფსიქოლოგიაში. 2008 წელს პროფესიული კარიერა განაგრძო კერძო პრაქტიკით, მუშაობდა ტელ-აშომერის საავადმყოფოში ზრდასრულთა ფსიქიატრიულ განყოფილებაში. კლინიკაში ზრდა და პროფესიული განვითარება მიმდინარეობდა ადამიანების სხვადასხვა სირთულეების და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით ისეთი დაავადებებისაგან, როგორც დეპრესია, შფოთვა, შიზოფრენია, პოსტტრამატიული სტრესული აშლილობა, ბიპოლარული აშლილობა და სხვა ფსიქოზური დარღვევები. 2009 წელს სწავლას აგრძელებს და ფსიქოთერაპიის მეთოდებს ეუფლება ებრაულ უნივერსიტეტში, Magid ინსტიტუტში. ის ცოდნას აღრმავებს და აფართოებს ფსიქოთერაპიაში კლინიკურ-დინამიურ სფეროში. 2015 წლიდან მიღებულია ისრაელის ფსიქოანალიტიკური საზოგადოების წევრად, დაიწყო ტრენინგი ფსიქოანალიზის სფეროში. აქვს ფსიქოანალიტიკური კლინიკა და პრაქტიკა ხანგრძლივი ინტენსიური თერაპიის განხრით. მზა მასალა ფსიქოანალიზის სფეროში დაგროვილი აქვს და დისერტაციის წერას შეუდგა. პარალელურად ხელმძღვანელობს სტუდენტებს, ასწავლის ფსიქოანალიზის კურს ინსტიტუტში.

**იარონ მოშელ Yaron Moshel (მოშიაშვილი)** - წარჩინებით დაასრულა New York University Medical Center და Ph.D. ხარისხი დაიცვა ნეირო-ონკოლოგიაში. არჩეულ იქნა Alpha Omega Alpha (AOA) ღირსეულ საზოგადოებაში. რეზიდენტურა ნეიროქირურგიაში გაიარა Weill Cornell Medical Center. დოქტორ მოშელი თანა-დირექტორი ბრძანდება Gerald J. Glasser Brain Tumor Center at Atlantic Health System's Overlook Medical Center. იგი არის ასევე ნეიროქირურგიის კლინიკური დოცენტი NYU Langone Medical Center. მისი ინტერესი ფოკუსირებულია ტვინის, ქალის ძვლების, ჰიპოფიზის და ხერხემლის სიმსივნეთა გამოვლენა-მკურნალობაზე, ინვაზიური ენდოსკოპია, მიკროქირურგიული და

სტერეოტაქტიკური რადიოქირურგია. მისი საქმიანობა მოიცავს ეპილეფსიის ქირურგიულ და სამწვერა ნერვის ნევრალგიის ინვაზიურ მეთოდით მკურნალობას. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში, როგორც რეფერენტი სამეცნიერო პროგრამა AANS კომიტეტის სიმსივნის განყოფილებაში. გარდა ამისა, მონაწილეობს საერთაშორისოდ აღიარებულ ნეიროქირურგთა ფორუმებში და მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, აკადემიური მოსწრების და ნეიროქირურგიული კვლევის საგრანტო მხარდაჭერა ამერიკის კიბოს საზოგადოებისაგან. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია ჟურნალებში ნეიროქირურგიის, ნეიროქირურგიის და Epilepsia სფეროში. ავტორია რამდენიმე წიგნის თავის პირადი მიღწევების აღწერისა სტერეოტაქტიკური, ინვაზიური ხერხემლის და თავის ტვინის ოპერაციების საკითხებში. ამერიკის სამ შტატში არის ჩართული თავის ტვინის სიმსივნეთა მკურნალობის ყველაზე მნიშვნელოვან პროგრამაში Overlook Medical Center's CyberKnife Program.

**აბრამ კრიხელი Abraham Krikhely** - Assistant Professor of Surgery CUMC (კოლუმბიის უნივერსიტეტი) მიღებული აქვს განათლება NYU Stern School of Business და სამედიცინო სფეროში NYU School of Medicine. სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე: რეზიდენტურა - ზოგადი ქირურგია. გამოცდილი სპეციალისტი გახლდა ბარიატრიულ და ზოგად ქირურგიაში. კლინიკურ ინტერესებთა შორის: თიაქარის ოპერაცია, ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი ნაწლავის დაავადებებთან რობოტიკული ჩარევა. სრულ განაკვეთზე მიღებულია Maimonides Medical Center მინიმალურად ინვაზიური ქირურგიის სამედიცინო ცენტრში. რეგულარულად აქვეყნებს კვლევის სფეროში მასალებს, ეროვნულ და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე წარდგინებით. არის პრესტიჟულ სამედიცინო საზოგადოებათა წევრი, როგორცაა: SAGES (Society of American Gastrointestinal and Endoscopic Surgery), ASMB (American Society of Metabolic and Bariatric Surgery), IFSO (International Federation for the Surgery of Obesity and Metabolic Disorders), ACS (American College of Surgeons).

**ოლგა მორელი Olga Morelli (მოძღვრიშვილი)** - რუსეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (2007წ.) დაასრულა მოსკოვში. სპეციალიზაცია ბაკულევის სახ. გულის ქირურგიის და სისხლძარღვთა სამეცნიერო ცენტრში, გაიარა (2007-12), მოსკოვი. Ph.D.- დისერტაცია თემაზე: "კლინიკური - ულტრაბგერა კორელირებს გულის რესინხრონიზაციით თერაპიას ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ პაციენტებში"(2013). ისრაელში რაბინის სამედიცინო ცენტრში, ბეილინსონის საავადმყოფოში, კარდიოლოგიის განყოფილებაში იწყებს სტაჟირებას, ენიჭება სპეციალისტი კარდიოლოგის სტატუსი. სპეციალიზაციის პერიოდში გამოაქვეყნა სტატიები, კონფერენციებში იღებდა მონაწილეობას. თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს უტარებს სალექციო კურსს.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად წარმოჩენილი მასალიდან თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად ვრცლად და ფართოდ არიან ჩართული ჩვენი თემის სამედიცინო განათლების მქონე წამყვანი სპეციალისტები სხვადასხვა სფეროში. ისინი უთავსებენ პრაქტიკულ კლინიკურ მოღვაწეობას სამეცნიერო კვლევას სამედიცინო დარგში; მოპოვებულ ცოდნას იყენებენ ფარმაკოლოგიური მრეწველობის განვითარებაში, ატარებენ ფრონტალურ ლექციებს სამედიცინო ფაკულტეტზე, ეწევიან online კონსულტაციებს პაციენტებისათვის, წარმოდგენილი არიან საერთაშორისო კონფერენციებზე, გამოსცემენ სახელმძღვანელოებს, ემსახურებიან ისრაელის ჯარს, კურნავენ პატიმრებს, მონაწილეობენ მართმსაჯულების სფეროში სამედიცინო დაუდევრობის შემთხვევათა სწორად განსჯაში. მრავალთა ბიოგრაფია მეტყველებს არა მარტო მათ მაღალ პროფესიონალიზმზე, არამედ ღრმა ერუდიციაზე და

ფართო ინტერესებზე. მეორე მხრივ: “სადაურსა სად წაიყვანს ბედი“ - მათი მსოფლიოში განთავსების არეალი ფართო არის. ისინი გაცდენ დაბადების ადგილს და დაიმკვიდრეს ავტორიტეტი ახალ გეოგრაფიულად დაშორებულ ტერიტორიაზე.

პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი – თელ–ავივის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი

---